პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული სწავლებას ამ მიზნით სასწავლო პროგრამის კურიკულუმში ჩართულია ის საგნები, რომლებიცითვალისწინებს სწავლეება-სწავლას როგორც საკუთრივ არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლებზე, ისე მუზეუმებში, აგრეთვე ხელოვანთა სახელოსნოებში.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;

- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

*ცოდნა და გაცნობიერება:*

პროგრამის კურსდამთავრებული:

- ისტორიულ-კულტურული რეალიების გათვალისწინებით აღწერს მსოფლიო და ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს, ცალკეული დარგების მახასიათებლებს, სხვადასხვა ეპოქის და მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს და ნიშნებს;
- აფასებს არქიტექტურული ძეგლისა და ხელოვნების ნიმუშის ტიპოლოგიურ, სტრუქტურულ, იკონოგრაფიულ და მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს და მათ მხატვრულ ღირებულებას;
- აცნობიერებს ძველი სამყაროსა და ანტიკურ ხანის, შუა საუკუნეების, აღორძინების, აგრეთვე ახალი და თაანმედროვე ეპოქის ხელოვნებაშიმიმდინარე პროცესებს და თითოეული ეპოქისათვის სახასიათო ნიშნებს; ეთნოკულტურული, კონფესიური, აგრეთვე მსოფლმხედველობითი თავისებურებების გავლენას ხელოვნების ნიმუშზე.
- აანალიზებს ქართული მხატვრული ტრადიციის თანაგვარობას და განსხვავებებს მსოფლო ხელოვნებასთნ მიმართებაში; იაზრებს მის ადგილს და როლს ძველი სამყაროს, შუა საუკუნეების და თანამედროვე კულტურულ პროცესებში.

*უნარები:*

- ავლენს შესაბამისი მასალის მოძიებისა და სისტემატიზების, შედარებითი დახასიათების, აგრეთვე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობებს.
- აანალიზებსარქიტექტურის და ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ფორმის სახასიათო ნიშნებს, მის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს.
- განაზოგადებს მსოფლიო და ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენებს, არგუმენტირებულად აფასებსდა ლოგიკურად აანალიზებს მათ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში;
- იყენებს დარგობრივ სპეციფიკურ ტერმინოლოგიას და სახელოვნებათმცოდნეო მეთოდებს პროფესიული საქმიანობაში;

| |
|---|
| *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:*<br>• ზრუნავსსაკუთარაკადემიურდაპროფესიულგანვითარებაზე;<br>• ავლენს ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემას; იცავს აკადემიურ ეთიკას. |
| **დასაქმების სფეროები** |
| ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზო-გადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:<br>• საგანმანათლებლო, სასწავლო დასამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (საბაკალავრო განათლების შესაბამის პოზიციებზე);<br>• კულტურის სფეროს დაწესებულებებში;<br>• კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს დაწესებულებებში<br>• ტურიზმის სფეროში;<br>• მუზეუმებსა და გალერეებში;<br>• მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);<br>• ბიბლიოთეკებსა და არქივებში და მუზეუმებში;<br>• საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე; |

| პროგრამის სახელწოდება | ამერიკისმცოდნეობა<br>American Studies |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი<br>BA in American studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N2, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც.პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი, ასოც.პროფესორი მიხეილ ბარნოვი<br>ტელ.: 599 988 423,<br>ელფოსტა: elene.medzmariashvili@tsu.ge, mikheil.barnovi@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 70 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 40 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |
| ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური | |

განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ამერიკისმცოდნეობა პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი დარგია. პროგრამა მხარეთმცოდნეობითია და წარმოადგენს სპეციფიკურ, დარგთაშორის (სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) სფეროს. იგი მიზნად ისახავს სფეროს მულტიდისციპლინარულობისა და დისციპლინებს შორის კავშირების შესწავლას მრავალი პერსპექტივიდან და მრავალ კონტექსტში. წარმოდგენილი პროგრამა თავისი არსით ინტერდისციპლინარული და დარგთაშორისია, ეს სპეციფიკა ასახულია მის კურიკულუმში: საგნები მოტანილია როგორც სოციალურ ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებიდან. ამავდროულად უნდა ითქვას, რომ გათვალისწინებულია უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და პროგრამის კურიკულუმი აგებულია იმგვარად, რომ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში სტუდენტებს არ შეექმნათ პრობლემა თავსებადი საგნების არჩევისას. საგნების ჩამონათვალში ყველა საგანი არის ხუთკრედიტიანი.

1. სწავლების პროცესში სტუდენტი შეიძენს კონკრეტულ საბაზისო ცოდნას ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით, სწავლება კონცენტრირდება სამი ძირითადი კლასტერის სახით: საზოგადოება, ისტორია და პოლიტიკა, ლიტერტურა და კულტურა, ენა და საზოგადოება, რაც გულისხმობს ისტორიის, პოლიტიკისა და დიპლომატიის, აშშ სახელმწიფო მართვის სისტემისა და უსაფრთხოების პოლიტიკის, ქართულ–ამერიკული ურთიერთობების, ამერიკული ლიტერატურის, ფილოსოფიის, კულტურის ისტორიისა და ხელოვნების, ეკონომიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის და სხვ., ძირითადი პრობლემების დასმის, განხილვისა და გადაწყვეტის ზოგადი მეთოდების ცოდნას. საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სინთეზის საფუძველზე თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული რეგიონთმცოდნეობითი განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. ამერიკისმცოდნეობა, როგორც კომპლექსური დარგი იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

2. სტუდენტს პროგრამის ფარგლებში მიეცემა საშუალება დაეუფლოს ინგლისურ ენას და მიაღწიოს ენის ცოდნის ბ 2 საფეხურს. პროგრამა მოიცავს ენის სხვადასხვა რეგისტრსა და სტილს. სტუდენტი შესძლებს ზეპირ და წერით კომუნიკაციას შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, გაერკვევა ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის თავისებურებებში, აითვისებს ლექსიკის ახალ სტრატეგიებს; პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროფესიული ენის ათვისებას; კურიკულუმის სავალდებულო და არჩევითი საგნების უდიდესი უმრავლესობა ორიენტირებულია გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიული ინგლისური ენის ტერმინოლოგიური ლექსიკის ცოდნა. ამას ხელს უწყობს როგორც სწავლების მთელ პროცესის მსვლელობისას პრაქტიკულ ენასა და ინგლისურენოვან ლიტერატურაზე მუშაობა, ისე სწავლების ბოლო მეშვიდე და მერვე სემესტრებში დაგეგმილი ინგლისურენოვანი თეორიული კურსების მოსმენა.

3. სავალდებულო დისციპლინების გვერდით არსებული არჩევითი საგნების მრავალფეროვნება, აძლევს საშუალებას სტუდენტს გაიღრმავოს საკუთარი ინტერესების სფერო ამერიკული ცხოვრების სხვადასხვა განზომილებების შესწავლის გზით. მას შეუძლია თემატური კონცენტრაციით ააგოს საკუთარი სასწავლო გეგმის დიზაინი სხვადასხვა მიმართულებებიდან, ისეთიდან როგორიცაა: ისტორია და დიპლომატია, სამართალი, პოლიტიკური მეცნიერებები.

4. სტუდენტი შეიძენს ამერიკული იდეების/კონცეფციების, ამერიკული ინტეგრაციის, ამერიკული ინსტიტუტების, ამერიკული ხასიათის, ამერიკული იდენტობის, ამერიკული აზროვნებისა და ფასეულობების, ეკონომიკის, ფილოსოფიის, დიპლომატიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის, უცმირესობათა, ძირძველი მოსახლეობის-ინდიელების, საწყისებში გარკვევის, გაგებისა და გაშუქებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარება იმ ზედაპირული და ხშირ შემთხვევაში უარყოფითი სტერეოტიპების დარღვევაში, რომლებიც მასიურ ცნობიერებაშია ჩამოყალიბებული.

5. ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებას; იგი სრულადაა ორიენტირებული სტუდენტზე, მისი პარადიგმა იმგვარადაა აგებული, რომ ამერიკული კულტურით, საზოგადოებითა და ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარები (პრობლემების გააზრებისა და ინტერპრეტაციის, შეკითხვების დასმის, დისკუსიის, პასუხის გაცემის და სხვ.). პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს მისცეს ფუნდამენტური ჰუმანიტარული განათლება, ინგლისური ენის ცოდნასთან ერთად შესაძლებლობა – დაეუფლოს მეორე ევროპულ ენას (პროგრამისთვის პრიორიტეტული და რეკომენდებულია ესპანური), ეს ყოველივე კი საშუალებას მისცემს ამერიკისმცოდნეს, ეფექტურად გამოიყენოს დარგობრივი კომპეტენციები და ტრანსფერული უნარები. კურსდამთავრებული შესძლებს დაიკავოს სხვადასხვა საკარიერო პოზიციები: ამერიკისმცოდნეები, ფართო ერუდიციის მქონე ექსპერტები, პოლიტიკისა და დიპლომატიის, ისტორიისა და კულტურის მცოდნე სპეციალისტები, კურატორები, კოორდინატორები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინატორები, ტრენინგ-კოორდინატორები, მენეჯერები, ახალგაზრდულ პროგრამათა მენეჯერები, თარჯიმანები ესაჭიროება ქართულ სამთავრობო, თუ/და არასამთავრობო სექტორს, ამერიკულ-ქართული კომპანიებს, ფონდებსა და ორგანიზაციებს, ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, კულტურულ და მთარგმნელობითი ცენტრებს, ბიბლიოთეკებსა და გამომცემლობებს, მასმედიას. მრავალი ორგანიზაცია დაინტერესებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში, ხელოვნების მენეჯმენტისა და ტურიზმის მიმართულებით დაასაქმოს პროგრამის კურსდამთავრებული. კომუნიკაციის სფერო გახლავთ პოტენციური დასაქმების კიდევ ერთი არეალი.

6. პროგრამა მიზნად ისახავს, აღზარდოს პასუხისმგებლიანი და კეთილსინდისიერი კურსდამთავრებული, რომელიც განუხრელად იცავს პროფესიულ ეთიკას საქმიან ურთიერთობებში, არის ტოლერანტული, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; გამოხატავს მუდმივ მზაობას კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის.

| |
|---|
| **სწავლის მეთოდები** |
| სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესსეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.). |
| **შეფასების პროცედურები** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.<br>სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;<br><br>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:<br>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:<br>✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;<br>✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები |

შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;

- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების საბაკალავრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ამერიკისმცოდნეობა). სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფს შემდეგი შედეგების მიღწევას:

*ა) ცოდნა და გაცნობიერება*

1. ამერიკისმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა, ამერიკისმცოდნეობის როგორც დისციპლინის რაობის განხილვა, ამერიკისმცოდნეობის ძირითადი მიმართულებების: ამერიკის კულტურა, ცივილიზაცია, სოციალური განვითარება, ისტორია, ლიტერატურა, პოლიტიკა, მასმედია, განათლების სისტემა, თანამედროვე ტექნოლოგიები და ა.შ; ცნებების: თვითმყოფადობა, წარმომადგენლობითი მმართველობა, რეგიონალიზმი, თვითმმართველობა, რასიზმი, ქალთა უფლებები, იმიგრაცია, ურბანიზაცია, სამოქალაქო საზოგადოება და სხვ. დაკავშირება და შედარება; აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიის, გეოგრაფიისა და კულტურის ძირითადი მოვლენების იდენტიფიცირება და აღწერა; აშშ-ის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ძირითადი ეტაპებისა აღწერა და შედარება; აშშ-ის დემოკრატიული გამოცდილების ძირითადი მახასიათებლების განხილვა; აშშ-ის კულტურის ზოგადი ცოდნა, რაც მოიცავს ამერიკული მუსიკის, მხატვრობის, კინოს, არქიტექტურის, სპორტის ძირითადი თემების მიმოხილვას; მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში ამერიკელთა წვლილის განხილვასა და ილუსტრირებას; ამერიკის ძირძველი მოსახლეობის, ინდიელთა ისტორიის, მითოლოგიის, ფლოკლორისა და ეთნოლოგიის, თანამედროვე ყოფის სხვადასხვა ასპექტების მიმოხილვა; კოლუმბამდელი ამერიკული ცივილიზაციების თავისებურებების ილუსტრირება; ამერიკელთა ადგილისა და როლის დაკავშირება-შედარება ევროპისა და ზოგადად მსოფლიო ისტორიასა და კულტურასთან.

2. ამერიკული ფილოსოფიის საფუძვლებისა და ამერიკული ფილოსოფიის ფორმირების იდენტიფიცირება; ძირითადი ფილოსოფიური სკოლების, მიმდინარეობებისა და ამერიკელ ფილოსოფოსთა ნააზრევის შედარება; ამერიკელ ფილოსოფოსთა მსოფლიო ფილოსოფიური აზრის ისტორიაში შენატანის შეჯამება; ამერიკული ფილოსოფიის საკვანძო მომენტების აღწერა. ამერიკული პრაგმატიზმის თეორიულ პარადიგმას-ძირითად ცნებებსა და პრობლემების კატეგორიებად დაყოფა, პრაგმატიზმის ამერიკული ცხოვრების წესში, პოლიტიკაში, განათლების კონცეფციაში, რელიგური გამოცდილების მრავალფეროვნებაში, მხატვრული აზროვნებაში - კინემატოგრაფში, ფერწერაში, არქიტექტურასა და ლიტერატურაში მნიშვნელობის ინტერპრეტირება.

3. კოლონიზაციის პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ჩათვლით აშშ–ის ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების, წამყვანი ავტორების, ენის საბაზისო გამომსახველობითი საშუალებებისა და სტილისტური ხერხების აღწერა; ამერიკული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა და მათ ენობრივი და მხატვრული თავისებურებების გარჩევა; მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ადეკვატური განხილვა.

4. ამერიკული ხასიათისა და თვითმყოფადობის აღწერა; ამერიკულ რეალობაში სხვადასხვა სახის უმცირესობათა, რასობრივი და გენდერული საკითხების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების ცნობა; ძირითადი ამერიკული დღესასწაულებისა და ღირებულებების აღწერა; ამერიკული საზოგადოების თავისებურებების ილუსტრირება და მათი მნიშვნელობის ინტერპრეტირება.

5. აშშ–ის სამართლის, მის წყაროებისა და საფუძვლების განსაზღვრა, აშშ-ის სამართლებრივი კულტურის თავისებურებების განხილვა, აშშ-ის სამართლის აქტუალურ პრობლემების ახსნა; ამერიკულ რალობაში რასობრივი პრობლემების, პოლიტიკისა და სამართალის ურთიერთმიმართების დაკავშირება; აშშ–ის ეკონომიკის საფუძვლების არწერა, ამერიკის ეკონომიკური განვითარების თავისებურებების მიმოხილვა.

6. უახლესი პერიოდის ამერიკა-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აღწერა; ამერიკაში ქართული დიასპორის ჩამოყალიბების ისტორიის აღწერა; ამერიკული ფაქტორის მნიშვნელობის ილუსტრირება ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში. თანამედროვე ამერიკაში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესების აღწერა; რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის აღწერა; ამერიკული პოლიტიკური აზრისა და მმართველობის სისტემის აღწერა, დემოკრატიის პრინციპებისა და თანამედროვე ამერიკული დიპლომატიის საფუძვლების აღწერა; მსოფლიო პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში დემოკრატიის როლის ინტერპრეტირება, აშშ-ის ინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების განხილვა. ამერიკული იდენტობის, ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გაანალიზებისა და დასაბუთების უნარი;

*ბ) უნარები*

7. სპეციალობის მაპროფილებელ ინგლისურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის “The Common European Framework in its political and educational context” მიხედვით B2 დონის შესაბამისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების ცოდნას სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობითი ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში. ბრიტანული და ამერიკული ენების განსხვავებათა ნიუანსების მოხელთება, თანამედროვე სლენგის დაწყებითი პრაქტიკული ცოდნის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ადაპტაციას ამერიკულ გარემოში, კერძოდ, კონტაქტის დამყარებას იმ ადამიანებთან, რომლებმაც არ იციან თანამედროვე სალიტერატურო ენა.

8. სტუდენტს ათვისებული აქვს დარგის სწავლების პროცესის, საკუთარი საჭიროებების, ამოცანებისა და პერსპექტივების სისტემატური შეფასების უნარი, იგი ფლობს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძვლებს, აქვს სხვადასხვა სახის წყაროების მოპოვების, მათი დამუშავების, შედარების, კლასიფიცირების უნარები. სწავლის პროცესში საჭირო მასალის მოპოვების, მათი კატეგორიზაციის, ინტერპრეტაციის და განმარტების უნარი. მხარეთმცოდნეობითი მეთოდოლოგიების გამოყენების უნარი. არგუმენტირების უნარი, მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და აბსტრაგირების უნარი. შეუძლია ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატული ღირებულებების დამკვიდრების პროცესის ხელშეწყობა, ცოდნა იმისა, თუ რა არის სამოქალაქო საზოგადოება, აქვს საპირისპირო აზრის პატივისცემის უნარი; ტოლერანტულია, განხილვის კრიტიკულ მომენტში, აქვს საკუთარი პოზიციის დაცვის, დასკვნის გაკეთების უნარი;

***გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა***

9. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ავლენს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს.
10. აცნობიერებს პროფესიული ცოდნის მუდმივ განახლების მნიშვნელობას, ავლენს დამოუკიდებლად სწავლა- კვლევის, თვითორგანიზებისა და ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად, სტრესულ), მათ შორის, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროის ეფექტურად მართვისა და შრომის მაღალ დონეზე ორგანიზების საბაზისო უნარებს.

| |
|---|
| **დასაქმების სფეროები** |
| ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის მქონე ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგ სფეროებში: კულტურული და მთარგმნელობითი ცენტრები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლა), ამერიკულ-ქართული კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები, ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები, ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, მასმედია, ტურისტული ცენტრები, მუზეუმები და გალერეები. |

| პროგრამის სახელწოდება | კავკასიოლოგია<br>Caucasian Studies |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | კავკასიოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Caucasiology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; არნოლდ ჩიქობავას კაბინეტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N19ა |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. პროფ. მერაბ ჩუხუა |
| | ტელ.: 595 08 95 89 |
| | ელფოსტა: merab.chukhua@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი (ყველა მოდულისთვის) | 30 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი (მოდულის) | 40 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 40 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |

| |
|---|
| **პროგრამის მიზანი** |
| კულტურას, კავკასიელთა როლს კაცობრიობის წინარეკულტურათა (ცივილიზაციათა) ჩასახვასა და დამკვიდრებაში, ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის ძირითად და პრობლემურ საკითხებს (კავკასიის ეთნოლინგვისტიკა, მითოლოგია-ეთნოლოგია, კავკასიის არქეოლოგია, კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლიტერატურა) და ფიზიკური ანთროპოლოგიის საკვანძო პრობლემებს. პროგრამა აბსოლუტურად ნოვატორული და უნიკალურია იბერიულ-კავკასიური ენებისა და ეთნოსების ბასკურ, ხათურ, ჰურიტულ-ურარტულ, ეტრუსკულ და შუმერულ ენებთან და კულტურებთან გენეტიკური მიმართების სწავლების თვალსაზრისითაც. მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი კავკასიისა და მომიჯნავე (გარემომცველი) რეგიონების ხალხთა ენებისა და კულტურების ერთიანი სურათის ჩვენება/სწავლება.<br>დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა 7 მოდულითაა წარმოდგენილი: 1. აფხაზოლოგია, 2. ჩერქეზოლოგია, 3. ნახოლოგია, 4. დაღესტნოლოგია, 5. ოსოლოგია; 6. აზერბაიჯანოლოგია; 7. კავკასიის ხალხთა ისტორია.<br><br>კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კავკასიოლოგის (ლინგვისტი, ისტორიკოსი), მომზადება, რომელსაც ექნება სათანადო დარგობრივი უნარები და კომპეტენციები ისტორიულ-ფილოლოგიური განხრით.<br>პროგრამის მიზანია<br>1. გამოუმუშავოს სტუდენტებს მსოფლმხედველობის მთლიანობა კავკასიის ხალხთა წარმოშობა-ჩამოყალიბება-განვითარებაზე;<br>2. ადეკვატური წარმოდგენა შეუქმნას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის გლოტოგენეზისზე;<br>3. თვალსაჩინოდ გამოკვეთოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სახელმწიფოებრიობის, კულტურულ-ცივილიზაციური ევოლუციის საკვანძო ასპექტები და თავისებურებები არქაული პერიოდებიდან დღემდე;<br>4. ისტორიულ-შედარებითი და დესკრიფციული ლინგვისტიკის, ისტორიული მეცნიერების განხრით კი მეთოდოლოგიური პლურალიზმის საფუძველზე აჩვენოს კავკასიის რეგიონის პალეოკავკასიური მოდგმის ხალხთა ენების, კულტურის, ეთნოსთა ფორმირების (ლინგვო- და ეთნოგენეზისის), ისტორიული განვითარების განვლილი ეტაპები.<br>5. შეასწავლოს სტუდენტს კავკასიელი ადამიანის ბიოლოგიური ევოლუციის, პრეისტორიისა და კულტურის ევოლუციის პრობლემები |
| **სწავლის მეთოდები** |
| სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. |

ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

დისკუსია/დებატების პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას, სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს; ჯგუფური მუშაობის სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ
ჩართულობას სასწავლო პროცესში; ევრისტიკული მეთოდი სტუდენტს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზას ასწავლის; როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. დემონსტრირების მეთოდი აუდიო და ვიზუალური გზით გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური.
პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.
დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.
პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა-გაცნობიერება:**
პროგრამის კურსდამთავრებული

- კომპლექსურად აღწერს კავკასიის რეგიონს მისი ლინგვისტური, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული, დემოგრაფიული, რელიგიური და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით; განიხილავს კავკასიაში ისტორიულად

ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების ხასიათს, რეგიონის ხალხთა პოლიტიკური კულტურის თავისებურებებისა და მენტალობის გათვალისწინებით;

- აღწერს კავკასიაში რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების გავლენის ხასიათს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ (სამოქალაქო) ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე და ფუნქციონირებაზე.
- მართებულად აფასებს კავკასიას, როგორც ისტორიულად წინარეცივილიზაციათა ჩასახვისა და სხვა ცივილიზაციებთან შეხვედრის ადგილს, გამოკვეთს იბერიულ-კავკასიურ (პალეოკავკასიურ) და არეალურ-კონტაქტურ კომპონენტებს, აღწერს კავკასიის ავტოქთონ და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შემოსულ-დამკვიდრებულ ეთნოსებს, ზოგად-მიგრაციულ პროცესებს, მიგრაციათა გამომწვევ მიზეზებს.
- ჩამოთვლის კავკასიის ხალხთა ძირითად დემოგრაფიულ, სოციოკულტურულ და ეთნოპოლიტიკურ პრობლემებს. შეისწავლის ამ სფეროში სხვადასხვა მიმდინარეობების წიაღში დაგროვილ ცოდნას, განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და რეინტერპრეტაციებს კარდინალური საკითხების;
- აცნობიერებს პრეისტორიულ, ისტორიულ და მიმდინარე პროცესებს კავკასიის ხალხთა გლოტო- და ეთნოგენეზისის, პოლიტოგენეზისის სფეროში,
- გამოკვეთს საქართველოს ხალხის, როგორც რეგიონში კულტურთრეგერი ერის, გადამწყვეტ როლს კავკასიაში მიმდინარე მრავალფეროვან ეთნიკურ პროცესებში და საქართველოს, როგორც უწყვეტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის, წვლილს ტრადიციული კულტურისა და ენდემური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში.
- აფასებს კავკასიაში გავრცელებულ რელიგიათა ურთიერთ-მიმართების საკითხებს, ერთიან კულტურულ სივრცეს, მის ლინგვოკულტურულ და ისტორიულ მახასიათებლებს; თავისუფლად ორიენტირებს კავკასიის რეგიონის პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ მრავალფეროვნებაში.

*უნარები:*

- პრაქტიკულად იყენებს ერთ-ერთ კავკასიურ ენას მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის; ასევე სხვადასხვა ტიპის ადაპტირებული ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის მიზნით.
- აფასებს და აანალიზებს რეგიონთან დაკავშირებულ ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ საკითხებსა და ისტორიულ პროცესებს, ძირითად პრობლემატიკას და გადაჭრის მათ, დარგის შესაბამისი მეთოდის გამოყენებით.
- ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს კავკასიის რეგიონის ისტორიულ-გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებზე; განაზოგადებს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს და აფასებს მათ ისტორიულ კონტექსტში, ახდენს სასპეციალიზაციო სფეროს კომპლექსური პრობლემატიკის იდენტიფიცირებას სინქრონიასა და დიაქრონიაში ხედვის საფუძველზე.
- არგუმენტირებულად და ლოგიკურად აანალიზებს კავკასიელ ხალხთა და საქართველოს ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს.
- პროფესიული საქმიანობისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ზოგად ჰუმანიტარულ

კომპეტენციებსა და ევროპული ენის ცოდნას კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე.

***პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:***

- აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ავლენს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს.
- ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროის მართვისა და შრომის ორგანიზების უნარს.

**დასაქმების სფეროები**

კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

- საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (საბაკალავრო განათლების შესაბამის პოზიციებზე);
- დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე;
- სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში;
- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- ტურიზმის სფეროში;
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;
- საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე;

| პროგრამის სახელწოდება | არაბისტიკა<br>Arabic Studies |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | არაბისტიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Arabic Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, არაბისტიკის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. დარეჯან გარდავაძე<br>ტელ.: +995 599744358<br>ელფოსტა: darejan.gardavadze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 90 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |
| არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის არაბული ქვეყნების შესახებ ისეთ კომპლექსურ ფუნდამენტურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით | |

1. ავლენს არაბული სამყაროსთვის საერთო სტანდარტული არაბული ენის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონეს;
ენის სისტემისა და ენობრივი სტრუქტურის ფართო ცოდნა კი გამოუმუშავებს თანამედროვე არაბული სამყაროს მრავალრიცხოვანი დიალექტების მიმართ მიმღებლობას, მათი ურთიერთმიმართებების ერთიან ხედვას;
ენის დამოუკიდებელი მომხმარებლის დონეზე ცოდნა, არაბულიდან ქართულად და ქართულიდან არაბულად თარგმნის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების, სათარჯიმნო საბაზისო უნარების ფლობა კი აკადემიურ კულტურტრანსფერულ თუ პრაქტიკულ სათარჯიმნო საქმიანობაში მისი წარმატებული დასაქმების წინაპირობაა.
2. აღიქვამს ახლო აღმოსავლეთის რეგიონს და არაბულ სამყაროს, როგორც მის ნაწილს, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ცივილიზაციების, განსაკუთრებით კი ისლამური ცივილიზაციისა და თანამედროვეობის კულტურულ და სოციალურ სივრცედ სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტში; აღიქვამს და აცნობიერებს შუა საუკუნეებისა და თანამედროვე არაბული კულტურის, არაბული ლიტერატურის ესთეტიკურ ღირებულებებს, თავისებურებებს, შეუძლია ამ ლიტერატურულ ტექსტთა კულტურული ასპექტების შედარებითი ანალიზი.
3. აქვს ისლამური სამყაროს რეალიების აღქმის, არაბთა ადგილისა და როლის გააზრების უნარი ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადად, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. აცნობიერებს არაბული რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას; აქვს თანამედროვე არაბულ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.
4. ერკვევა არაბულ-ქართული კონტაქტების ძირითად ასპექტებში (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.), აქვს არაბული კულტურისა და მეცნიერების ქართულ კულტურაზე ზეგავლენის შესახებ საფუძვლიანი საბაზისო ცოდნა; უნივერსიტეტის ე.წ. მესამე მისიის თანახმად, ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, კერძოდ, შეუძლია სამეცნიერო ცოდნის პოპულარიზაცია არაბთა წვლილზე მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში, სემიტური ენებისა და კულტურების მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიაში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის თანამედროვეობაზე, მის მზარდ პოტენციალზე თანამედროვე მსოფლიოში.
5. დარგობრივ სფეროში არგუმენტირებული დასკვნების, კრიტიკული შეფასებების, ანალიზისა და სხვა ტრანსფერული უნარების, სასპეციალიზაციო არაბული ენის გარდა, ზოგადჰუმანიტარული კომპეტენციისა და ევროპული ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისთვის ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში ან აგრძელებს სწავლას სამაგისტრო საფეხურზე ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით.
6. გათავისებული აქვს აკადემიური და პროფესიული ეთიკა, პერსონალური და გუნდური პასუხისმგებლობა პროფესიულ საქმიანობაში, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა.

| |
|---|
| **სწავლის მეთოდები** |
| სწავლის შედეგების მისაღწევად არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ინდუქცია-დედუქციის, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).<br>ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.<br>განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა არაბული ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი არაბულ ენაზე და არაბულენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული. |
| **შეფასების პროცედურები** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.<br>სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; |

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების საბაკალავრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (არაბისტიკა).
სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას.

პროგრამის კურსდამთავრებული

**ცოდნა და გაცნობიერება:**

1. აღწერს და ადარებს სემიტურ ენათა სტრუქტურებს (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), არაბულ ენაზე აქცენტირებით; განსაზღვრავს მათი ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებსა და საერთო ნიშნებს; სპეციალობის მაპროფილებელ არაბულ ენაში ავლენს ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონის

შესაბამის ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციებს (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება); ათვისებული ლექსიკური მარაგს მაქსიმალურად თავისუფლად იყენებს საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას და წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში; განსაზღვრავს და ახასიათებს არაბულიდან ქართულად და ქართულიდან არაბულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის ზოგად პრინციპებსა და სპეციფიკას, თარგმნის სხვადასხვა სირთულის ტექსტებს (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული) ამ სპეციფიკის გათვალისწინებით.

2. მსჯელობს არაბული ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებზე, ჟანრებზე, ისლამამდელი ე.წ. „ჯაჰილიის" პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე არაბული ლიტერატურის ჩათვლით; აღწერს ფოლკლორისა და შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებს; მიმოიხილავს მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად ასპექტებსა და პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას.

3. მიმოიხილავს და აანალიზებს არაბული ქვეყნების შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ფაქტებსა და მოვლენებს, განსაზღვრავს არაბული ისტორიოგრაფიის საბაზისო წყაროებს, არაბთა წვლილს მსოფლიო ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობაში; განსაზღვრავს და მიმოიხილავს ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის რელიგიურ ვალდებულებებსა და თეოლოგიურ დოქტრინებს, აღწერს და ახასიათებს შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის, ისლამური სახელმწიფოს კონცეფციასა და ისლამურ მოძრაობებს, თანამედროვე არაბულ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს.

4. მიმოიხილავს და მსჯელობს არაბულ-ქართული ისტორიულ-კულტურული კონტაქტების, კულტურული ურთიერთგაცვლის, ქართულში არაბიზმების დამკვიდრების გზებზე, განსაზღვრავს სემიტური ენებისა და კულტურების, მათ შორის, არაბული კულტურისა და მეცნიერების მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის, აღწერს ქრისტიანული არაბული ლიტერატურისა და ქართული საეკლესიო მწერლობის ურთიერთობათა საკვანძო საკითხებს.

**უნარები:**

5. ისმენს, კითხულობს, თარგმნის, განმარტავს, ადგენს მაპროფილებელ არაბულ ენაზე ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონის შესაბამის სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში, ზეპირი და წერითი თარგმანისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით;

6. აანალიზებს და აფასებს არაბული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდისა და განსხვავებული ჟანრის სხვადასხვა ავტორთა ლიტერატურულ ნიმუშებს, მათ ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს; კითხულობს საშუალო სირთულის არაბულ ლიტერატურულ და ფოლკლორულ ტექსტებს ორიგინალში მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ადეკვატურად გაგების, ენის გამომსახველობითი საშუალებებისა და სტილისტიკური ხერხების თეორიული ცოდნის საფუძველზე.

7. კითხულობს და კრიტიკულად აანალიზებს არაბთა შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის წყაროებს; ახდენს მოძიებული მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს არაბული რეგიონის ისტორიულ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და თანამედროვე არაბულ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ, რელიგიურ და

| |
|---|
| პოლიტიკურ პროცესებზე; განაზოგადებს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს და აფასებს მათ ისტორიულ კონტექსტში, ახდენს სასპეციალიზაციო სფეროს კომპლექსური პრობლემატიკის იდენტიფიცირებას სინქრონიასა და დიაქრონიაში ხედვის საფუძველზე.<br>8. არგუმენტირებულად და ლოგიკურად აანალიზებს არაბულ-ქართულ ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს.<br>9. პროფესიული საქმიანობისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ზოგად ჰუმანიტარულ კომპეტენციებსა და ევროპული ენის ცოდნას კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**<br>10. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ავლენს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს.<br>11. ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროის მართვისა და შრომის ორგანიზების უნარს. |
| **დასაქმების სფეროები** |
| არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში სათარჯიმნო, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, საარქივო-სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. თავისი დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის და სადაც თავის ძირითად სპეციალობასთან კომბინაციაში დამატებითი სპეციალობის კომპეტენციებსაც ეფექტურად გამოიყენებს. ის შეიძლება დასაქმდეს პედაგოგიურ სექტორში (პედაგოგიკის დამატებითი პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს. |

| პროგრამის სახელწოდება | ირანისტიკა<br>Persian Studies |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ირანისტიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Persian Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ირანისტიკის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. თეა შურღაია |
| | ტელ.: +995 599167612 |
| | ელფოსტა: tea.shurghaia@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 90 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |
| პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებული უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით დაგეგმილი, განათლებით - სპარსული ენისა და ლიტერატურის, ირანის ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის თაობაზე კონცენტრირებული, კომპლექსური ცოდნითა და უნარებით, რათა მან შეძლოს: | |

1. საფუძვლიანად გაეცნოს შესასწავლი დისციპლინის (ირანისტიკის) არსს, თეორიულ მიდგომებს;
2. დაეუფლოს სპარსული ენის პრაქტიკულ ასპექტებს, მოახდინოს კომუნიკაცია ენის მატარებელთან;
3. თარგმნოს და გამოიყენოს სპარსულენოვანი წყაროები (მხატვრული - კლასიკური და თანამედროვე, ინფორმაციული და ისტორიული ხასიათის ტექსტები, ოფიციალური დოკუმენტები და სხვ.);
4. ადეკვატურად გაიაზროს ისლამამდელი, ისლამური და თანამედროვე ირანის, ირანული ცივილიზაციის როლი რეგიონულ და გლობალურ ჭრილში;
5. მიმოიხილოს ქართულ-ირანული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი (ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური) და მოახდინოს მათი ინტერპრეტირება;
6. გააცნობიეროს ირანის ლინგვისტური და ეთნო-კულტურული თავისებურებები; ჩამოუყალიბდეს ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიისა (ისლამი) და კულტურის მქონე ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს სხვადასხვა მეთოდს: ვერბალური მეთოდი, ტექსტზე მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, შინაარსზე დაფუძნებული სწავლება (CBI), გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, დისკუსია და სხვ.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება:**
1. იცნობს დისციპლინის არსს, დარგის ძირითად პრობლემატიკას და მიმართულებებს.
2. მიმოიხილავს შესწავლილი ენის (სპარსული) ლინგვისტურ, ლიტერატურათმცოდნეობით, კულტურულ ასპექტებს.
3. განმარტავს ირანის ისტორიისა და ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის საკვანძო საკითხებს.
4. აღწერს და ხსნის საკითხებს სპარსულ-ქართული ურთიერთობების სხვადასხვა სფეროდან (ენა, ლიტერატურა, ისტორია).

**უნარები:**

5. ახდენს დარგის აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებას, უსადაგებს მას მიღებულ თეორიულ ცოდნას და თანამედროვე მიდგომებს;

6. თარგმნის სხვადასხვა ტიპის (მხატვრული, ინფორმაციული, ისტორიული, ოფიციალური და სხვ.) ტექსტებს და პრაქტიკაში იყენებს ენის ცოდნას;
7. ისტორიული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებასთან ერთად, აფასებს ირანში მიმდინარე პროცესებს, ქვეყნის სტრატეგიულ როლს რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში.
8. ახდენს ქართულ-ირანული კონტაქტების ხასიათის იდენტიფიცირებას, ფაქტობრივი მასალის ანალიზს;
9.განმარტავს ირანული საზოგადოების, მისი ყოფითი კულტურის, ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ თავისებურებებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
10. ახდენს პროფესიული კეთილსინდისერების დემონსტრირებას ენობრივი მედიატორის (თარჯიმნის, მთარგმნელის) როლში;
11. ჩამოყალიბებული აქვს მიუკერძოებელი, ტოლერანტული, სტერეოტიპებისგან დაცლილი, მიდგომა შესწავლილი ქვეყნის (ირანის) ეთნიკურ-კულტურული და რელიგიური სპეციფიკის მიმართ;
12. აკადემიური ეთიკისა და ქცევის ნორმების დაცვით ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას.

**დასაქმების სფეროები**

ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ადგილები:

1. სახელმწიფო სტრუქტურები (საგარეო საქმეთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; პოლიცია; უშიშროების სამსახურები; ენის სახელმწიფო დეპარტამენტი; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; საჯარო რეესტრი; აეროპორტის ინფრასტრუქტურა; ეროვნული თავდაცვის აკადემია; სამხედრო-სასწავლო ბაზები; ანალიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრები; მუზეუმები; ბიბლიოთეკები; საჯარო სკოლები).
2. საერთაშორისო ორგანიზაციები (ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო; ირანის საელჩოს კულტურის განყოფილება; გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი; საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში);
3. მედიასაშუალებები (რადიო-ტელევიზია; პრესა; სოციალური მედია).
4. კერძო სექტორი (ირანული კომპანიები (სავაჭრო, სამშენებლო, საინვესტიციო და სხვ.), ირანული და ქართული ტურისტული კომპანიები; სასტუმროები; სანოტარო და სათარჯიმნო ბიუროები; ენის შემსწავლელი ცენტრები; ირან-საქართველოს სავაჭრო პალატები, გამომცემლობები).

| პროგრამის სახელწოდება | ასირიოლოგია<br>Asyriology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ასირიოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Assyriology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ასირიოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ირინე ტატიშვილი |
| | ტელ.: +995 595465722 |
| | ელფოსტა: irine.tatishvili@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 65 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 45 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ფართო ჰუმანიტარული განათლების მქონე პირები, რომელთაც ექნებათ საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენციები ასირიოლოგიაში.
სტუდენტმა უნდა შეისწავლოს სულ ცოტა ორი ენა, რომელიც ლურსმულ დამწერლობას იყენებდა, ძველაღმოსავლური ისტორიის,

ლიტერატურის, კულტურის საკვანძო საკითხები.
მას უნდა შეეძლოს შესწავლილი ენებიდან თარგმნა, ტექსტებისთვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება, სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერითი და ზეპირი პრეზენტაცია.

კურსდამთავრებულთა მიერ შეძენილი როგორც ზოგადად ჰუმანიტარული, ისე ვიწრო დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ. აგრეთვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივას.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

## სწავლის შედეგები

**ცოდნა-გაცნობიერება:**

- განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს ძველ ახლოაღმოსავლურ ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, თეორიებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემატიკას.
- ამჟღავნებს ძველი ახლოაღმოსავლური ენების (აქადურის და კიდევ მინიმუმ ერთის, შუმერულის ან ხეთურის) მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, აგრეთვე დამწერლობის სისტემის ცოდნას.
- მიმოიხილავს და აანალიზებს ძველი წინა აზიის ლიტერატურის ძირითად ტიპებს, ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, მათ ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას.

*უნარები:*

- თარგმნის ძველახლოაღმოსავლური ენებიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, ამ ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით.
- ახორციელებს სწავლის საფეხურის შესაბამის კვლევითი ხასიათის ნაშრომს, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

- კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს.
- კრიტიკულად აფასებს ასირიოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას.
- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, ასირიოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს.
- მონაწილეობს ასირიოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

*პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:*

- აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
- ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;
- ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს.

**დასაქმების სფეროები**

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი (სპეციალიზაციით ასირიოლოგია), უფლება ეძლევა დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო); იმუშაოს სასწავლო დაწესებუბლებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობაში, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში; იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით.

| პროგრამის სახელწოდება | თურქოლოგია<br>Turkology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართულიუული |
| **კვალიფიკაცია** | თურქოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Turkology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თურქოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ელისაბედ ბჟალავა |
| | ტელ.: +995 577947490 |
| | ელფოსტა: elisabed.bzhalava@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 90 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება შეესაბამება რა უნივერსიტეტის მისიას ემსახურება მისი მიზნების განხორციელებას, კერძოდ - საზოგადოების

ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტუტრული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწვლას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითრებას.
პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა:

- შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თურქულ და ოსმალურ ენებში, თურქეთის ისტორიაში, თურქული ენობრივი სისტემებისა და ლიტერატურის ისტორიაში, კულტურასა და რელიგიაში.
- შეისწავლოს ქართული თურქოლოგიური სკოლის ძირითადი მიღწევები და ტენდენციები.
- მიიღოს კომპლექსური ცოდნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობების შესახებ.
- მიიღოს საფუძვლიანი დარგობრივი ცოდნა, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, კვლევის, საკითხის დასმის და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს;
- გამოუმუშავოს დარგობრივი საქმიანობის უნარი ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ტრადიციებთან ერთად, პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, თურქოლოგიის დარგში სწავლებისა და კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.
პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური

შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

| |
|---|
| **სწავლის შედეგები** |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:<br>**ცოდნა და გაცნობიერება:**<br>• დეტალურად აღწერს თურქოლოგიას და თურქოლოგიური სკოლის ტრადიციებს საქართველოში და განმარტავს თურქოლოგიის განვითარების მნიშვნელობას ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის.<br>• ავლენს თურქული ენის ცოდნის B2 დონეს; აღწერს და მიმოიხილავს თურქული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და რელიგიის, განვითარების ძირითად ეტაპებსა და პრინციპებს;<br>• ადარებს და აპირისპირებს თურქ ხალხთა განვითარების ისტორიულ -კულტურულ პროცესებს;<br>• ავლენს თურქულ-ქართული ურთიერთობების ძირითად ასპექტების ცოდნას;<br>• აღწერს და განმარტავს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელობასა და დინამიკას.<br><br>**უნარები:**<br>• აანალიზებს და აფასებს ლინგვისტურ, ლიტერატურულ და ისტორიულ პრიცესებს;<br>წარმატებით იყენებს დარგობრივ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს არგუმენტირებულად და შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით მსკელეობს და დისკუსირებს პროფესიულ სფეროში.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**<br>• მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის კვლევით ნაშრომს;<br>• გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით. |
| **დასაქმების სფეროები** |
| თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც აღჭურვილია დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევითა და ზოგადი ტრანსფერული უნარებით მზადაა კვლევითი, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო და სათარჯიმნო საქმიანობისთვის. იგი შეიძლება დასაქმდეს:<br>სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში; გამომცემლობებში; ბიბლიოთეკებში; არქივებსა და მუზეუმებში; თურქულ ფირმებსა და კომპანიებში; ტურისტულ სააგენტოებში; ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის. |

| პროგრამის სახელწოდება | შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა<br>Far East Studies. Japanese Studies |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | იაპონისტიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Japanese Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი, აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნანა გელაშვილი |
| | ტელ.: +995 599934977 |
| | ელფოსტა: nana.gelashvili@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 75 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 35 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |

შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

კურსდამთავრებული უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების შესაბამისი საბაკალავრო დონის განათლებით და აღჭურვოს იგი პროფესიული პასუხისმგებლობით, რაც გულისხმობს

1. შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვანი ენის – იაპონურის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე ფლობას, რათა იაპონისტიკის ბაკალავრმა შეძლოს. იაპონურ ენაზე წერა, საუბარი, თარგმნა, ინფორმაციის მოძიება-გადამუშავება;
2. იაპონიის ისეთი სოციოკულტურული ასპექტების ცოდნას, როგორიცაა ქვეყნის ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, საზოგადოება, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმაშეძლოს: იაპონიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული საკვანძო საკითხებისა და საზოგადოების განვითარების უახლესი პრობლემატიკის მიმოხილვა;
3. შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში იაპონიის როლის განსაზღვრა-გაანალიზება;
4. იაპონური ლიტერატურის განვითარების ისტორიის გაანალიზება;
5. შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების იდენტიფიცირება და შედარებითი ანალიზი.
აღნიშნული მიზნები სრულიად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და აძლევს სტუდენტს ისეთ ფართო დარგობრივ ცოდნას როგორც იაპონისტიკის, ასევე ზოგადად, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, სძენს მას ისეთ ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომ ეს მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფდეს სტუდენტის დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

## სწავლის შედეგები

შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას.
პროგრამის კურსდამთავრებული

**ცოდნა და გაცნობიერება:**

1. განსაზღვრავს იაპონისტიკის დარგის მნიშვნელობას და მსჯელობს დარგის განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე;
2. აღწერს იაპონურ ენის ლინგვისტურ მახასიათებლებს და ნორმებს; ავლენს იაპონური ენის ცოდნას კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე;

3. მიმოიხილავს შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ეტაპებს და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს;
4. აღწერს და აანალიზებს შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების გავლენას სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე.

**უნარები:**
5. ახდენს დარგობრივი პრობლემების, აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებას;
6. მოიძიებს და იყენებს ქართულ და/ან იაპონურ ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის საინფორმაციო წყაროებს, ლიტერატურას, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს;
7. ამყარებს კომუნიკაციას იაპონურ ენაზე, კითხულობს უცხო ტექსტს, გააჩნია წერითი და ზეპირმეტყველების უნარი ენის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე;
8. აანალიზებს იაპონური საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების კანონზომიერებებს და სპეციფიკას საუკუნეთა სპექტრში;
9. მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და/ან იაპონურ ენებზე;
10. განსაზღვრავს, განასხვავებს და აფასებს სხვადასხვა კულტურათა შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ქვეყნებს შორის ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
11. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;
12. პატივს სცემს ეროვნულ და უცხოურ ისტორიულ-კულტურულ-რელიგიურ ღირებულებებს;
13. იცავს პროფესიული საქმიანობისას აკადემიური ეთიკისა და ქცევით ნორმებს, ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას.

აღნიშნული შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ეს შედეგები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, შედეგები შესაბამისია აგრეთვე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის კვალიფიკაციის სირთულისა.

**დასაქმების სფეროები**

პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც აღჭურვილია დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევითა და ზოგადი ტრანსფერული უნარებით მზადაა კვლევითი, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო და სათარჯიმნო საქმიანობისთვის. იგი შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. დასაქმების ძირითად სფეროებად მოიაზრება საგარეო საქმეთა სამინისტრო, იაპონიის საელჩო საქართველოში, საქართველოს საელჩო იაპონიაში,არა-სამთავრობო

| |
|---|
| ორგანიზაციები,სავაჭრო კომპანიები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ტურიზმის ეროვნული სააგენტო,ტურისტული კომპანიები, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები. |

| პროგრამის სახელწოდება | შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია<br>Far East Studies. Sinology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სინოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Sinology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტი, აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნანა გელაშვილი |
| | ტელ.: +995 599934977 |
| | ელფოსტა: nana.gelashvili@tsu.ge |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 75 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 35 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |
| შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია: | |

კურსდამთავრებული უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების შესაბამისი საბაკალავრო დონის განათლებით და აღჭურვოს იგი პროფესიული პასუხისმგებლობით, რაც გულისხმობს
1. შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვანი ენის – ჩინურის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე ფლობას, რათა სინოლოგიის ბაკალავრმა შეძლოს. ჩინურ ენაზე წერა, საუბარი, თარგმნა, ინფორმაციის მოძიება-გადამუშავება;
2. ჩინეთის ისეთი სოციოკულტურული ასპექტების ცოდნას, როგორიცაა ქვეყნის ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, საზოგადოება, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმაშეძლოს: ჩინეთისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული საკვანძო საკითხებისა და საზოგადოების განვითარების უახლესი პრობლემატიკის მიმოხილვა;
3. შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩინეთის როლის განსაზღვრა-გაანალიზება;
4. ჩინური ლიტერატურის განვითარების ისტორიის გაანალიზება;
5. შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების იდენტიფიცირება და შედარებითი ანალიზი.

აღნიშნული მიზნები სრულიად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და აძლევს სტუდენტს ისეთ ფართო დარგობრივ ცოდნას როგორც სინოლოგიის, ასევე ზოგადად, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, სძენს მას ისეთ ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომ ეს მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფდეს სტუდენტის დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი

გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ცოდნა და გაცნობიერება:**
1. განსაზღვრავს სინოლოგიის დარგის მნიშვნელობას და მსჯელობს დარგის განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე;
2. აღწერს ჩინური ენის ლინგვისტურ მახასიათებლებს და ნორმებს; ავლენს ჩინური ენის ცოდნას კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე;
3. მიმოიხილავს შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ეტაპებს და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს;
4. აღწერს და აანალიზებს შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების გავლენას სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე.

**უნარები:**
5. ახდენს დარგობრივი პრობლემების, აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებას;
6. მოიძიებს და იყენებს ქართულ და/ან ჩინურ ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის საინფორმაციო წყაროებს, ლიტერატურას, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს;
7. ამყარებს კომუნიკაციას ჩინურ ენაზე, კითხულობს უცხო ტექსტს, გააჩნია წერითი და ზეპირმეტყველების უნარი ენის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე;
8. აანალიზებს ჩინური საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების კანონზომიერებებს და სპეციფიკას საუკუნეთა სპექტრში;
9. მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და/ან ჩინურ ენებზე;
10. განსაზღვრავს, განასხვავებს და აფასებს სხვადასხვა კულტურათა შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ქვეყნებს შორის ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**
11. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;
12. პატივს სცემს ეროვნულ და უცხოურ ისტორიულ-კულტურულ-რელიგიურ ღირებულებებს;
იცავს პროფესიული საქმიანობისას აკადემიური ეთიკისა და ქცევით ნორმებს, ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას.

აღნიშნული შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ეს შედეგები სრულიად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის კვალიფიკაციის სირთულეს.

**დასაქმების სფეროები**

პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც აღჭურვილია დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევითა და ზოგადი ტრანსფერული უნარებით მზადაა კვლევითი, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო და სათარჯიმნო საქმიანობისთვის. იგი შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. დასაქმების ძირითად სფეროებად მოიაზრება საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, არასამთავრობო ორგანიზაციები,სავაჭრო კომპანიები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ტურიზმის ეროვნული სააგენტო, ტურისტული კომპანიები, სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები.

| პროგრამის სახელწოდება | არმენოლოგია<br>Armenology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | არმენოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Armenology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, არმენოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნათია ჩანტლაძე |
| | ტელ.: +995 599963442 |
| | ელფოსტა: natia.chantladze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 90ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |

პროგრამის მიზანია საბაკალავრო საფეხურის შესატყვისი რეგიონმცოდნეობითი კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადება არმენოლოგიის დარგში. იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთი საქართველოს უახლოესი მეზობელი ქვეყანაა და სომხები საქართველოს მოსახლეობის 4,5% შეადგენენ, საქართველოს ტერიტორიაზე, მუზეუმებსა და არქივებში კი დიდი რაოდენობით

დასტურდება სომხური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, სომხური ენის მცოდნე სპეციალისტი სხვადასხვა საექსპერტო და ფილოლოგიური კომპეტენციებით, ყოველთვის საჭიროა და მოთხოვნადი. ამიტომაც არმენოლოგიის საბაკალავრო პროგრამის (რომელსაც საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ანალოგი არ აქვს) მიზანია, კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული ფართო ცოდნითა და უნარებით, ქართული არმენოლოგიისათვის ტრადიციული ფართო ჰუმანიტარული ხედვის სპეციალისტებად ჩამოყალიბება, რის შედეგადაც მათ შეეძლებათ

1. ახალი სომხური ენის ფლობა კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე, ძველი სომხური ენის ფლობა ტექსტის წაკითხვის, გაგებისა, ინტერპრეტირების, და თარგმნის დონეზე
2. სომხური ენის კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებული ფართო ცოდნის გამოვლენა, რაც მოიცავს ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, რელიგიისა და თანამედროვე პოლიტიკური ვითარების ასპექტებს;
3. სომხური ენის კულტურ-საზოგადოებრივი გარემოს აღწერა და ქართულ ენობრივ და კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოსთან შედარება, რაც მოიცავს ლინგვისტურ, ლიტმცოდნეობით, ისტორიოგრაფიულ და რელიგიათმცოდნეობით კომპეტენციებს, რაც საშუალებას მისცემს მათ მომავალში იმუშაონ ქართულ-სომხური ურთიერთობების სფეროში;
4. სომხური ენიდან ქართულზე და პირუკუ წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება;
5. უახლესი ცოდნით საქართველოში არმენოლოგიის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, აკადემიურ სფეროში საპოლემიკო საკითხების განხილვა და კრიტიკა; ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ და ფართო საზოგადოებრიბ წრეებში;

სწავლის გაგრძელება როგორც ძირითად, ისე მომიჯნავე სპეციალობებში; დასაქმება მუზეუმებში, არქივში, ბიბლიოთეკებში, საჯარო სექტორში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სათარჯიმნო ბიუროებში, კვლევით ინსტიტუტებში.

**სწავლის მეთოდები**

- ლექცია;
- სემინარი/სამუშაოჯგუფი;
- დამოუკიდებელიმუშაობა;
- პრაქტიკუმი/პრაქტიკულიმეცადინეობა
- ტექსტებისკომენტირებამათიკონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციისდაანალიზისმიზნით;
- მსჯელობაშესაბამისთემაზე; ჯგუფურიდისკუსიაწინასწარმომზადებულთემაზე;
- განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების (მათ შორის. ონლაინ ბაზების) გამოყენებით; ბეჭდურ, ციფრულ ან/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა/ კრიტიკული წაკითხვა (გააზრება);
- მოძიებული ინფორმაციისა და განხორციელებული ინტერპრეტაციის პრეზენტაცია ზეპირსიტყვიერად და წერილობით, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- დისკუსია;
- ორენოვანი და სხვა სახის ლექსიკონებით სწავლება;

- გონებრივი იერიში;
- ენის/ენების სწავლება მცირერიცხოვან ჯგუფებში;

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.

✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;

✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

- კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე ახალი სომხური ენის ფართო ცოდნის საფუძველზე და ტექსტის წაკითხვის, ინტერპრეტირებისა და თარგმნის დონეზე ძველი სომხური ენის ფართო ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული აღწერს და განმარტავს სომხური ენის (ძველისა და ახლის) ლინგვისტურ მახასიათებლებს, ენის ისტორიის, სომხური ლიტერატურის ასპექტების გათვალისწინებით;
- განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს სომხური ენის კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, რელიგიის და თანამედოვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ასპექტებს, მათთან დაკავშირებულ მეცნიერულ თეორიებს, უახლეს პრობლემატიკას ფართო ჰუმანიტარული ხედვის ჭრილში;
- სომხურ ენას და მის კულტურ-საზოგადოებრივ გარემოს უდარებს ქართულ ენობრივ და კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოს, რაც მოიცავს ლინგვისტურ, ლიტმცოდნეობით, ისტორიოგრაფიულ და რელიგიათმცოდნეობით კომპეტენციებს; განიხილავს ქართულ-სომხური ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური და პოლიტიკური ურთიერთობების ასპექტებს.

**უნარები:**

- იყენებს ახალ სომხურ ენასროგორცწერითი, ისეზეპირიკომუნიკაციისდროს, სხვადასხვამიზნისადააუდიტორიისთვის;ძველ სომხურ ენაზე კითხულობს სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს და ახდენს მათ ინტერპრეტირებას;
- ქართული და სომხური კულტურათაშორისიკომუნიკაციისასიყენებსენობრივიშუამავლობისუნარსდაკომუნიკაციისსხვადასხვახერხს;
- აანალიზებსსომხურ ენასთან (ძველსა და ახალთან) დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს აღწერისა და კლასიფიკაციის ძირითადი ლინგვისტური მეთოდების გამოყენებით.
- ლოგიკური მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების საფუძველზე ახდენს მონაცემთა იდენტიფიცირებას და კლასიფიცირებას,

მასალის სისტემატიზირებას, ოპერირებს ფილოსოფიური ცნებებით, გამოაქვს სწორი დასკვნები.

- აანალიზებს სომხური ენის ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს არმენოლოგიის ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით;
- განსაზღვრავს და აღწერს ქართულ და სომხურ კულტურებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული პროცესების ფონზე;
- აღწერს და აანალიზებს საქართველოსა და სომხეთს შორის ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს ერთმანეთთან შეპირისპირება-შედარების გზით;
- მოიძიებს და იყენებს ქართულ და  სომხურ ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის წყაროებს, სამეცნიერო ლიტერატურას, ორენოვან ლექსიკონებს, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს;
- სამიზნე აუდიტორიასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს;
- მონაწილეობს სომხურ ენასთან, ქართულ-სომხურ ურთიერთობებთან, არმენოლოგიის სხვა  აქტუალურ საკითხებთან დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და სომხურ ენებზე.
- ძველი სომხური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს წერილობით (ბიბლიური წიგნები, აგიოგრაფიული მწერლობა, დოგმატურ-პოლემიკური მწერლობა, ეპიგრაფიკულ წარწერათა ნიმუშები) სათანადო თარგმანმცოდნეობითი კომპეტენციების დემონსტრირებით;
- ახალი სომხურიდან თარგმნის სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს (მხატვრულ, იურიდიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და სხვა) ზეპირად და წერილობით ახალი სომხური ენიდან ქართულ ენაზე და პირუკუ; ახდენს სათარჯიმნო პრაქტიკული ჩვევების დემონსტრირებას;
- ახორციელებს არმენოლოგიის თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირებულ, საკუთარი სწავლის საფეხურის შესაბამის კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს (ასრულებს რა საშინაო დავალებებს, ამუშავებს მითითებულ ლიტერატურას, ამზადებს და წარადგენს რეფერატებს, თარგმანს, საკვალიფიკაციო ნაშრომს);
- სწავლისა და პროფესიული საქმიანობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს, არ აყალბებს მონაცემებს, წარმოადგენს მხოლოდ თავის მიერ მომზადებულ ნაშრომს, არ დაუშვებს პლაგიატს, ახდენს ობიექტური, მიუკერძოებელი კრიტიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. ქართულ-სომხური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების აღწერისა და გაანალიზებისას, სტუდენტს შეუძლია განსხვავებული პოზიციების არსებობის მიღება, ადეკვატურად აფასებს მათ, განსაზღვრავს საკუთარ პოზიციას  და მზადაა პასუხი გასცეს სამეცნიერო პოლემიკის დროს გაჩენილ შეკითხვებს, მას შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა, საკუთარ მსჯელობაში შესწორებების შეტანა.

| |
|---|
| • აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებების და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას (სწავლობს რა სომხურ ენასა და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს ქართულ ენასა და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოსთან შედარება-შეპირისპირებით), ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ. |
| **დასაქმების სფეროები** |
| სტუდენტი შეიძლება დასაქმდეს ყველგან, სადაც სომხური ენის ცოდნა შეიძლება იყოს საჭირო და საკმარისია ბაკალავრის ხარისხი - სათარჯიმნო ბიურო, საინფორმაციო სააგენტო, ტელევიზია, ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, ბიბლიოთეკები, სადაც სომხური წიგნადი ფონდია (თსუ, საპარლამენტო, და სხვ.), საქართველოს ეროვნული არქივი, გამომცემლობა, ძეგლთა დაცვის სააგენტო, ხელნაწერთა ერვნული ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ. |

| პროგრამის სახელწოდება | ებრაისტიკა<br>Hebrew |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ებრაისტიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Hebrew |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. მამუკა ბუცხრიკიძე |
| | ტელ.: 599-96-38-70 |
| | ელფოსტა: mamuka.butskhrikidze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 95 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 15ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |

ებრაისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული – კვალიფიციური, ფართო ჰუმანიტარული განათლების მქონე ებრაისტი, რომელიც ფლობს ისრაელის სახელმწიფოს ენასა და ლინგვოკულტუროლოგიურ მახასიათებლებს, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის შესახებ კომპლექსურ ცოდნას, რაც დარგობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში, სწავლისა და

სწავლების უახლესი მეთოდიკის გამოყენებით და ინტერდისციპლინური მიდგომით, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის აღჭურვას შემდეგი დარგობრივი კომპეტენციებითა და ტრანსფერული უნარებით:

1. თანამედროვე ებრაული ენის (ივრითის) უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონის შესაბამისი პრაქტიკული ცოდნით, ამ ენის საკომუნიკაციო დანიშნულებით გამოსაყენებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად, მისაღებად და დასამუშავებლად;
ძველი (ბიბლიის) ებრაული ენის საფუძვლების ცოდნით, რამდენადაც ბიბლიის ებრაული თანამედროვე ებრაული ენის (ივრითის) სისტემურ და სტრუქტურულ ფუნდამენტს წარმოადგენს;
იდიშის ენობრივი და კულტურული საფუძვლების ცოდნით.
საბაზრო საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ კონტექსტში მთარგმნელობითი და სათარჯიმნო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი უნარებით, რაც გაათავისებინებს ებრაისტს ენის კულტურტრეგერულ მისიას.

2. პროგრამა მიზნად ისახავს ასევე, ებრაისტიკის ბაკალავრს მისცეს ფართო ცოდნა შემდეგ პრობლემატიკაზე:

- ებრაელთა იდენტობა და ეთნოგენეზისი, მათი იდენტობის რელიგიური და სეკულარული ასპექტები; რელიგიური და პოლიტიკური სიონიზმი.
- ისრაელის სახელმწიფოს პოლიტიკური არქიტექტონიკა. მისი გეოპოლიტიკური ადგილი და როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.
- თანამედროვე ისრაელის ეთნოკულტურული კალეიდოსკოპი.

3. შეუქმნას მას საფუძვლიანი წარმოდგენა ებრაული რელიგიური აზროვნების შესახებ, რომლის ცენტრალური კონცეპტი არის მონოთეიზმი. ამ კონტექსტში გააააზრებინოს იუდაიზმის წყაროები, უპირველესად, თანახი, შემდეგ - მიშნა და თალმუდი. გააცნობიერებინოს ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

4. მისცეს კურსდამთავრებულს საფუძვლიანი ცოდნა ძველი აღთქმის (ებრაული ბიბლიის) ლიტერატურულ ასპექტებზე, მის მხატვრულ ფასეულობებზე, აგრეთვე შუა საუკუნეების უნიკალურ ებრაულ პოეზიაზე, რომელიც სწორედ ბიბლიის მხატვრულ ნიადაგზე აღმოცენდა, ებრაული დიასპორის ორიათასწლოვან მწერლობაზე, თანამედროვე ისრაელის ლიტერატურის ახალ ტენდენციებსა და პრობლემატიკაზე.
5. მისცეს მას საკმაოდ ღრმა ცოდნა ქართველი ებრაელის ფენომენის შესახებ. გააააზრებინოს ამ ფაქტორის როლი და მნიშვნელობა ქართულ-ებრაული და საქართველო-ისრაელის ურთიერთობების განვითარებისათვის.

შეასწავლოს ქართველ ებრაელთა ისტორია, მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობა, მათი რელიგიური ცხოვრება. გააცნოს მას საქართველოს ებრაელობასთან დაკავშირებული ძალზე მდიდარი მასალა სხვადასხვა სამუზეუმო, რელიგიურ, აკადემიურ დაწესებულებებსა და არქივებში, მათ შორის ისეთიც, რომელსაც ჯერ მკვლევრის ხელი არ შეხებია. დააინტერესოს ებრაისტი ამ

მასალის კვლევით.

გააცნოს მას ქართველ ებრაელთა მიერ დამკვიდრებული ადგილი ისრაელის სახელმწიფოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მედიცინაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში და ა.შ. მათი კულტურული მეხსიერება მეორე სამშობლოზე, საქართველოზე და ქართულ კულტურაზე, ქართულ ეროვნულ ფასეულობებზე, როგორც პოზიტიური ფაქტორი საქართველო-ისრაელის ურთიერთობების პერსპექტივაში.

6. პროგრამის მიზანია აგრეთვე, კურსდამთავრებულს მისცეს ფუნდამენტური ჰუმანიტარული განათლება, ევროპული ენის/ენების ცოდნასთან ერთად შესაძლებლობა – დაეუფლოს მეორე აღმოსავლურ ენას (პროგრამისთვის პრიორიტეტული და რეკომენდებულია არაბული), ეს ყოველივე კი საშუალებას მისცემს ებრაისტს, ეფექტურად გამოიყენოს დარგობრივი კომპეტენციები და ტრანსფერული უნარები, დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში, დაიმკვიდროს ადგილი შრომის ბაზარზე, როგორც მთარგმნელმა, თარჯიმანმა, კონსულტანტმა, ტუროპერატორმა, გიდმა, საკონტაქტო პირმა, საქმეთა მმართველმა და ა.შ., ყველა იმ პოზიციაზე, სადაც იქნება შესაბამისი ასპარეზი ზემოაღნიშნული ენობრივი და რეგიონმცოდნეობითი კომპეტენციების რეალიზებისათვის ან გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო საფეხურზე ჰუმანიტარული თუ სოციალურ მეცნიერებათა პროფილით.

7. პროგრამა მიზნად ისახავს, აღზარდოს პასუხისმგებლიანი და კეთილსინდისიერი კურსდამთავრებული, რომელიც განუხრელად იცავს პროფესიულ ეთიკას საქმიან ურთიერთობებში, არის ტოლერანტული, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; გამოხატავს მუდმივ მზაობას კომუნიკაციისა და კოლაბორაციისათვის.

**სწავლის მეთოდები**

პროგრამა დასახული მიზნების მისაღწევად მიმართავს ეფექტურ სწავლება-სწავლის მეთოდიკას, რაც მოიცავს ლექცია-სემინარებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, საშინაო დავალებებს, ჯგუფურ მუშაობებს, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, რეფერატებს, ესეს, საბაკალავრო ნაშრომს, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, სასწავლო პროცესში ჩართულია თანამედროვე ტექნოლოგიები, ხორციელდება მოსმენა და ტესტირება, დისტანციური კომუნიკაციის სათანადო პლატფომაზე მყარდება საინფორმაციო კონტაქტები და ინტერაქცია ისრაელის სასწავლო-საგანმანათლებლო ერთეულებთან. ივრითის სრულყოფისათვის, აგრეთვე ქვეყნის ყოფისა და კულტურული რეალიების უკეთ აღსაქმელად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს ჩაერთონ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებში, რომელიც უცხოელი სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. გარდა ამისა, ებრაისტიკის ბაკალავრიატის სტუდენტი მონაწილეობს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, ჩართულია სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაში.სასწავლო პროცესში იგი ავითარებს სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობის, დასკვნების ინდუქციური და/ან დედუქციური მეთოდით მომზადების ჩვევებს, იგი ინფორმირებული და

ჩართულია აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის მუშაობაში.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის

თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

✓ საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობიერება:**
**პროგრამის კურსდამთავრებული**

- ფლობს და იყენებს თანამედროვე ებრაულ ენას უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონის შესაბამისად და ავლენს შესაბამის საკომუნიკაციო უნარებს (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება). აღწერს თანამედროვე ებრაული ენის (ივრითის) ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურას, დაუფლებულია სათარჯიმნო ტექნიკას, ტექსტის მოსმენის, გააზრებისა და გადმოცემის მეთოდოლოგიას, აქვს თეორიული ბაზა თარგმანის ხელოვნებაში, გამომუშავებული აქვს სათარგმნ ერთეულთან მიდგომის პროფესიული ჩვევები.
- ებრაისტიკის ბაკალავრი მიმოიხილავს და აღწერს ძველი (ბიბლიის) ებრაულის საფუძვლებს. ამოიცნობს ძველი და თანამედროვე ებრაულის არსებით გრამატიკულ განსხვავებებს, კითხულობს ბიბლიის ებრაულ დედანს და შეუძლია მისი, როგორც წყაროს, გამოყენება აკადემიური და მთარგმნელობითი მიზნებისათვის.
- ებრაისტიკის ბაკალავრი აგრეთვე დაუფლებულია იდიშის ენობრივ და კულტურულ საფუძვლებს – ენისა, რომელზეც საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდნენ ევროპელი ებრაელები საკმაოდ მდიდარ კულტურას და რომელიც რეპატრიანტთა მეტყველებაში თანამედროვე ისრაელში ფუნქციური რეაბილიტაციის პროცესშია.
- აღწერს და მიმოიხილავს ებრაული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს, რომელთა სპეციფიკურობა ებრაელი ერის უნიკალური ისტორიით არის ნაკარნახევი. მსჯელობს ბიბლიური ტექსტების მხატვრულ მხარეზე, მასზე აღმოცენებულ, შუა საუკუნეების ესპანეთში შექმნილ ებრაულ პოეზიაზე (რომელიც ებრაული ლიტერატურის ოქროს ხანადაა ცნობილი), რენესანსის ეპოქის ებრაელ ავტორებზე, მეთვრამეტე საუკუნის ახალ ტენდენციებზე, ცენტრალურ ევროპაში ებრაული განმანათლებლობის ახალ მწერლობაზე, დიასპორის ლიტერატურის დეკადანსსა და პალესტინაში ებრაული კულტურის კერის გადანაცვლების შემდეგ ებრაული მხატვრული სიტყვიერებისათვის ახალი სიცოცხლის შეძენისა და თანამედროვე ისრაელის მწერლობის ფორმირებისა და განვითარების პროცესზე.
- განსაზღვრავს ებრაული ფენომენის უნიკალურობას; ებრაული სულიერი საგანძურის, – რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, ბიბლია იგულისხმება, – საერთო საკაცობრიო მნიშვნელობას; განმარტავს მონოთეიზმის ებრაულ ფორმულას „ადონაი ეხად" (უფალი ერთია), რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ეგზისტენციალურ აზროვნებას; ებრაული საგანმანათლებლო მოძრაობის, „ჰასქალას" მიზნებსა და შედეგებს, ხასიდიზმისა და სიონიზმის არსსა და მნიშვნელობას, ჰოლოკოსტის რაობასა და

მის შედეგებს.

- მიმოიხილავს ებრაელი ერის ისტორიასა და მის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს; ისრაელის სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემას, ისრაელის საზოგადოების განვითარების რელიგიურ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციებს.
- აღწერს ქართველ ებრაელთა სულიერ და მატერიალურ-კულტურულ ფასეულობებს, მსჯელობს მათ ადგილსა და როლზე საქართველოს წარსულში, ახლანდელ დროსა და მომავალში; ისრაელში რეპატრირებული ქართველი ებრაელების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ასპექტებს.

**უნარები:**

- უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონის შესაბამისად ოპერირებს თანამედროვე ებრაულ ენაზე (ივრითზე). ფლობს და იყენებს სათარჯიმნო საქმიანობის ჩვევებსა და ტექნიკას. ბიბლიის ებრაულისა და იდიშის ენობრივ კომპეტენციებსა და კულტურულ საფუძვლებს იყენებს აკადემიური მიზნებისთვის.
- კრიტიკულად განიხილავს ებრაულ ლიტერატურულ მოვლენებს; ერთ მთლიან პროცესად აფასებს ებრაულ მწერლობას ბიბლიური შედევრებით დაწყებული და თანამედროვე ავტორების პოსტმოდერნისტული ტექსტებით დამთავრებული. აანალიზებს ებრაული სამწერლობო ენის განვითარების ათასწლეულების გამოცდილებას, აგრეთვე უცხოური ლიტერატურული ტენდენციების გავლენასა და გამოვლენას თანამედროვე ისრაელის მხატვრულ შემოქმედებით ცხოვრებაში. დედანში კითხულობს შედარებით ნაკლები სირთულის ლიტერატურულ ტექსტებს ივრითზე.
- მსჯელობს და აანალიზებს ებრაელი ერის ისტორიის საეტაპო ეპიზოდებს, იუდაიზმისა და ებრაული იდენტობის ურთიერთდამოკიდებულებას, ებრაული გამოკვეთილი ნაციონალური ნიშნების მიმართებას გლობალიზაციის პრობლემატიკასთან. აანალიზებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოლიტიკურ კლიმატს, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის გამომწვევ ფაქტორებს, მის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგთან მიმართებით.
- ისტორიული და რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით მსჯელობს საქართველო-ისრაელის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების პერსპექტივაზე.
- ჰუმანიტარული ცოდნის საბაზისო კომპეტენციებითა და ევროპული ენის/ენების ფლობით, საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებებისა და ტექნოლოგიების ეფექტური მოხმარებით, მაღალ პროფესიულ დონეზე ახორციელებს დარგობრივ-სპეციალურ ამოცანებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, არის კეთილსინდისიერი და კოლეგიალური, მუდმივად იცავს პროფესიულ ეთიკას, არის კანონმორჩილი და განუხრელად იცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.
- არის ღია და ინტერესიანი ნებისმიერი ინოვაციის მიმართ თავის დარგში. მუდმივად ცდილობს პროფესიულ სრულყოფას, არის ორგანიზებული და პუნქტუალური, ახასიათებს გეგმაზომიერება და დროის ოპტიმალური განაწილება და გამოყენება.

| |
|---|
| არის ღია ნებისმიერი რეკომენდაციის, რჩევის, კრიტიკის, წინადადებისათვის, თუმცა გადაწყვეტილების მიღებაში არის დამოუკიდებელი და თავისუფალი ყოველგვარი კონიუქტურული ზეგავლენისაგან. |
| **დასაქმების სფეროები** |
| ებრაისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი რეგიონმცოდნეობითი კომპეტენციებითა და საფუძვლიანი საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული განათლებით კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:<br>- სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელშიც პრიორიტეტულია ტექსტებზე მუშაობის უნარები, ტრანსფერული შესაძლებლობები, ენების ცოდნა, არარეზიდენტ და/ან არაქართულენოვან პირებთან კომუნიკაციისა და კოლაბორაციის ჩვევები და მისთ.<br>- სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში;<br>- საქართველოს ეროვნულ არქივში, ძეგლთა დაცვის სააგენტოში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში – იქ. სადაც ებრაული ფონდებია;<br>- ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენლობებში, ისრაელის სახლში;<br>- კერძო სექტორში - ისრაელურ კომპანიებში და/ან საქართველოში ისრაელის მოქალაქეების მიერ დაფუძნებულ ფირმებში, მათ შორის კერძო ებრაულ სკოლებში, ისრაელის ციფრულ აკადემიაში, ისრაელის ავიაკომპანიებში და სხვ.<br>- ტურიზმის სფეროში, სასტუმროებში;<br>- სათარჯიმნო და მთარგმნელობით ბიუროებში;<br>- საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;<br>სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებებში, რომელშიც კურსდამთავრებულის ზემოხსენებული კომპეტენციები იქნება რელევანტური. |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ქართული ფილოლოგია<br>Geogian Philology |
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Georgian Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი ; ქართული ენის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე;<br>პროფ. რამაზ ქურდაძე, ქეთევან სიხარულიძე, რუსუდან ზექალაშვილი |
| | ტელ.: +995 57741258; +995 599180903 |
| | ელფოსტა: elguja.khintibidze@tsu.ge; ramaz.kurdadze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 60 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 30 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვოს კურსდამთავრებული საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ქართული ფილოლოგიის, ზოგადად ჰუმანიტარული და ფი-

ლოლოგიური მეცნიერებების ინტერდისციპლინური და კომპლექსური საკითხების ცოდნით, რათა კურსდამთავრებულს:

- ჰქონდეს ფილოსოფიის შესავლის ძირითადი თემების; საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ფაქტების; აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების; ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევის თავისებურებების საბაზისო ცოდნა.
- შეეძლოს ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი, კრიტიკული შეფასება, ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვა-კომენტირება, ინტერპრეტირება; აღწეროს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, ქართული ზეპირსიტყვიერების პროცესები; ფლობდეს ძველი და ახალი ქართული ენის სტრუქტურას (ფონეტიკას-ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს); ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, პალეოგრაფიის; ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის ძირითად თემებს; ერთ-ერთ ევროპულ ენას და ერთ-ერთ კლასიკურ / აღმოსავლურ ენას საბაზისო დონეზე.
- ერკვეოდეს საბაზისო დონეზე: მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებში. ფლობდეს პრაქტიკულ უნარებს საგამომცემლო-სარედაქციო საქმის სფეროში.
- შეეძლოს ქართული ენისა და ლიტერატურის ანალიზისას შეიმუშაოს კრიტიკული მიდგომა, განსაზღვროს და კრიტიკულად განიხილოს ლიტერატურული ტექსტის ენობრივი, ეთიკურ-ისტორიული-იდეოლოგიური საკითხები საბაზისო დონეზე. გამოხატოს პატივისცემა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის მიმართ, დაიცვას აკადემიური ეთიკა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, მასალის დაკონსპექტების, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიაში მონაწილეობის, დემონსტრირებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებისა და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს ისტორიული ძეგლების მონახულებას. ეწყობა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული ენის დიალექტების, ქართველური ენებისა და ფოლკლორული მასალების შესაკრებად. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და ლიტერატურული საღამოები. სტუდენტები ინფორმირებული და ჩართული არიან ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ქართული ენის ინსტიტუტის მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარის მუშაობაში.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების

კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

| სწავლის შედეგები |
| --- |
| **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>➢ აღწერს ფილოსოფიის შესავლის ძირითად თემებს; საქართველოს ისტორიის ძირითად ეტაპებსა და ფაქტების; კადემიური წერის ძირითად პრინციპებს საბაზისო დონეზე. ფლობს ერთ-ერთი ევროპულ ენას საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე, არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპულ ენას მინიმუმ A2 დონეზე; ერთ–ერთ კლასიკურ ან აღმოსავლურ ენას საბაზისო დონეზე. განსაზღვრავს ფილოლოგიის როგორც დარგის მიზნებსა და ამოცანებს, ქართული ფილოლოგიის ისტორიას, მის თანამედროვე დონესა და პერსპექტივებს ფილოლოგიური კვლევების ზოგად კონტექსტში. ფლობს ქართული ფილოლოგიის ძირითად ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს, პრინციპებს და კვლევის მეთოდებს; თარგმანთმცოდნეობის ძირითადი თეორიებსა და პრინციპებს.<br>➢ განიხილავს ქართული ენის განვითარების ძირითად ეტაპებს, ქართულ ენაში მიმდინარე ძირითად ენობრივ მოვლენებს, ენობრივ ცვლილებათა ხასიათსა და ქრონოლოგიას. აღწერს ძველ ქართულ სამწერლობო კერებსა და მათ მთარგმნელობით მეთოდებს; თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა–ფონოლოგიასა და გრამატიკას (მორფოლოგია-სინტაქსს) და ამ სფეროებთან დაკავშირებულ თეორიებსა და პრაქტიკულ საკითხებს საბაზისო დონეზე. ფლობს ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელ ძირითად ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს; ქართული პალეოგრაფიის საფუძვლებს (დამწერლობის წარმოშობა, დამწერლობის ტიპები, ეპიგრაფიკის, კოდიკოლოგიის, დიპლომატიკის საფუძვლები; ქართული ანბანის ძველი სახეობები: ასომთავრული, ნუსხური და ადრეული მხედრული); აქვს ქართული ენის სტილისტიკისა და სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის საკითხების; საგამომცემლო-სარედაქციო საქმის; ქართული ენის დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის საკვანძო საკითხების; ქართული ენის ლექ-სიკურ–ფრაზეოლოგიური თავისებურებების ფართო ცოდნა. ითვალისწინებს სოციალურ–კულტურულ, ყოფით, პროფესიულ და სხვა ფაქტორების გავლენას თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებზე.<br>➢ აღწერს ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად ეტაპებსა და ჟანრებს (აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, სხვ.; საერო მწერლობა) და მათ სპეციფიკას; განსაზღვრავს ქართული ლიტერატურის ადგილს შუასაუკუნეების მხატვრული აზროვნების სისტემაში, მის მნიშვნელობასა და წვლილს ევროპული მწერლობის პროცესში. ფლობს ძველი ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიისა და XII-XVIII საუკუნეების მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედების ძირითად თემებს. ჩამოთვლის და განიხილავს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითად ტენდენციებს, ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის, XIX საუკუნის ქართული მწერლობის საკითხებს. აღწერს და აანალიზებს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად საკითხებს, თანამედროვე ქართული ლიტერატურუ-ლი პროცესების ძირითად ტენდენციებსა და მათ მიმართებას მსოფლიო ლიტერატურული აზრის განვითარების სისტემასთან. იხილავს თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის საკითხებს. განსაზღვრავს ქართული ზეპირსიტყვიერების ზოგად და ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებებს, ძირითად ჟანრებს, ქართველი ხალხის რელიგიური და მითოლოგიური აზროვნების ძირითად მახასიათებლებს და ქართული მითოლოგიის მიმართებას მსოფლიო ხალხთა მითოლოგიურ სისტემებთან. აანალიზებს მხატვრული სტილის და სტილისტიკის, ქართული ლექსთწყობის და ხალხური პოეტიკის |

საკითხებს, ლიტერატურული ნაწარმოების ინტერდისციპლინური და ინტერტექსტუალური შესწავლის პრინციპებს.

**უნარები:**

- მსჯელობს ფილოსოფიის შესავლის ძირითად თემებზე; საქართველოს ისტორიის ძირითად ეტაპებსა და ფაქტებზე; პრაქტიკულად იყენებს კადემიური წერის ძირითად პრინციპებს. ფლობს ერთ-ერთი ევროპულ ენას საშუალო (B1) ან საშუალო-ზე მაღალ (B2) დონეზე, არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპულ ენას მინიმუმ A2 დონეზე; ერთ–ერთი კლასიკურ ან აღმოსავლურ ენას საბაზისო დონეზე. პრაქტიკულად ერკვევა ფილოლოგიის როგორც დარგის მიზნებსა და ამოცანებში, ქართული ფილოლოგიის ისტორიასა, მის თანამედროვე დონესა და პერსპექტივებში ფილოლოგიური კვლევების ზოგად კონტექსტში. ხსნის და გადმოსცემს ქართული ფილოლოგიის ძირითად ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს, პრინციპებს და კვლევის მეთოდებს; თარგმანთმცოდნეობის ძირითადი თეორიებსა და პრინციპები.
- სჯელობს ქართული ენის განვითარების ძირითად ეტაპებზე, ქართულ ენაში მიმდინარე ძირითად ენობრივ მოვლენებზე, ენობრივ ცვლილებათა ხასიათსა და ქრონოლოგიაზე; ძველ ქართულ სამწერლობო კერებსა და მათ მთარგმნელობით მეთოდებზე. აანალიზებს და გადმოსცემს თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკა–ფონოლოგიასა და გრამატიკას (მორფოლო-გია-სინტაქსს) და ამ სფეროებთან დაკავშირებულ თეორიებსა და პრაქტიკულ საკითხებს საბაზისო დონეზე. საბაზისო დონეზე ერკვევა ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელ ძირითად ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებში; ამ სფეროსთან დაკავშირებულ თეორიებსა და პრაქტიკულ საკითხებში; ქართული პალეოგ-რაფიის საფუძვლების (დამწერლობის წარმოშობა, დამწერლობის ტიპები, ეპიგრაფიკის, კოდიკოლოგიის, დიპლომატიკის საფუძვლები; ქართული ანბანის ძველი სახეობების: ასომთავრული, ნუსხური და ადრეული მხედრული) ძირითად თემებში; აყალიბებს ქართული ენის სტილისტიკისა და სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის საკითხებს; საგამომცემლო-სარედაქციო საქმის; ქართული ენის დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის საკვანძო საკითხებს; ქართული ენის ლექსიკურ–ფრაზეოლოგიურ თავისებურებების ძირთად თემებს; ასაბუთებს სოციალურ–კულტურულ, ყოფით, პროფესიულ და სხვა ფაქტორების გავლენას თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებზე.
- მსჯელობს ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად ეტაპებზე, ჟანრებსა (აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, სხვ.; საერო მწერლობა) და მათ სპეციფიკაზე; ქართული ლიტერატურის ადგილზე შუასაუკუნეების მხატვრული აზროვნების სისტემაში, მის მნიშვნელობასა და წვლილზე ევროპულ მწერლობის პროცესში. აანალიზებს და გადმოსცემს ძველი ქართული ლი-ტერატურის საკვანძო საკითხებს; რუსთველოლოგიასა და XII-XVIII საუკუნეების მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედებას. ხსნის და გადმოსცემს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი ტენდენციებს, ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის, XIX საუკუნის ქართული მწერლობის საკითხებს. საბაზისო დონეზე აანალიზებს და აყალიბებს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად საკითხებს, თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ძირითად ტენდენციებსა და მათ მიმართებას მსოფლიო ლიტერატურული აზრის განვითარების სისტემასთან. ერკვევა თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის საკითხებში. ანსაზღვრავს ქართული ზეპირსიტყვიერების ზოგად და ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებებს, ძირითად ჟანრებს, ქართველი ხალხის რელიგიური და მითოლოგიური აზროვნების ძირითად მახასიათებლებს და ქართული მითოლოგიის მიმართებას მსოფლიო ხალხთა მითო-

ლოგიურ სისტემებთან. პრაქტიკულად ხსნის და აანალიზებს მხატვრული სტილის და სტილისტიკის, ქართული ლექსთწყობის და ხალხური პოეტიკის საკითხებს, ლიტერატურული ნაწარმოების ინტერდისციპლინური და ინტერტექსტუალური შესწავლის პრინციპებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

- ზოგადად ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების, კონკრეტულად კი ქართული ენისა და ლიტერატურის ანალიზისას შეიმუშავებს კრიტიკულ მიდგომას; განსაზღვრავს და კრიტიკულად განიხილავს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს.
- ენისა და ლიტერატურის საკითხებთან დაკავშირებით გამოხატავს პატივისცემას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა მიმართ; მოქმედების ტოლერანტობის პრონციპებით.
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით ირჩევს თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს; იცავს აკადემიური და ზოგადი ეთიკის ნორმებს.

**დასაქმების სფეროები**

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო საზო-გადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებაში, სადაც საჭიროა ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართული ენის, ლიტერატურისა და ზოგადად კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით, კერძოდ:

- საგანმანათლებლო, სასწავლო სფეროში; მათ შორის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლადაც პედაგოგიკის დამატებითი პროგრამის არჩევის შემთხვევაში;
- სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.);
- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- ბიბლიოთეკებსა და საისტორიო-ლიტერატურულ არქივებში;
- საგამომცემლო დაწესებულებებში: რედაქციებსა და გამომცემლობებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- საჯარო სექტორში;
- კერძო სექტორში;
  არასამთავრობო სექტორში.

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ინგლისური ფილოლოგია<br>English Philology |
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of English Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ინგლისური ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. მანანა რუსიეშვილი;<br>პროფ. მანანა გელაშვილი |
| | ტელ.: +995 599168339; +995 593195395 |
| | ელფოსტა: manana.ruseishvili@tsu.ge; manana.gelashvili@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 75 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 25 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ზოგადი და უპირველესი მიზანია პროგრამის კურსდამთავრებულის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით კონკურენტუნარიანი, განათლების საფეხურის დონის შესაბამისი სისტემური ცოდნით და უნარებით აღჭურვა, რათა ის

1. ფლობდეს და იყენებდეს ინგლისურ ენას უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი დონით (CEFR-B2+), როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომუნიკაციისთვის სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან და მსჯელობდეს ფართო დიაპაზონის (ენის თეორიის, ლიტერატურის, კულტურისა და სხვადასხვა თემატიკის ყოველდღიური კომუნიკაციის) საკითხებზე;
2. აანალიზებდეს ლიტერატურულ (მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები) და არალიტერატურულ (პრესის, ბიზნესის, იურიდიული) ტექსტებს ენობრივ-სტილისტურად და ახდენდეს მათ ინტერპრეტაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან ინგლისურ ენაზე; შეეძლოს ინგლისურ და ქართულ ენაზე მათი წარდგენა (უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით), ქართულ ენაზე თარგმნა და შინაარსის რეპროდუცირება;
3. იცნობდეს და იაზრებდეს თანამედროვე ინგლისური ენის თეორიის (ენის სტრუქტურის, ლექსიკური სისტემის, სტილისტიკისა და ენის ისტორიის), თარგმანთმცოდნეობის ძირითად დებულებებსა და მეთოდებს, შეეძლოს მათი არგუმენტირებული და კრიტიკული ანალიზი, ინტერპრეტაცია (ინგლისურ ენაზე), პროგრამით გათვალისწინებული მარტივი და საშუალო სირთულის ენობრივი ფაქტების შედარება ქართული ენის შესაბამის მასალასთან; აცნობიერებდეს კავშირს შიდაენობრივ და ენათაშორის სისტემებს შორის;
4. აცნობიერებდეს და აღწერდეს პროგრამის საფეხურით გათვალისწინებულ ენათმეცნიერების, ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ საკითხებს; მიმოიხილავდეს, აანალიზებდეს მათ; შეეძლოს მათი ეფექტური წარდგენა აუდიტორიისათვის;
5. შეეძლოს მსოფლიო და ინგლისური ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების, მიმართულებების, ავტორებისა და მათი ნაშრომების არგუმენტირებული მიმოხილვა, მსჯელობა, წარდგენა და ანალიზი;
6. ხელს უწყობდეს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას, პროგრესული ღირებულებების საზოგადოებაში განმტკიცებას; შეეძლოს დროისა და შრომის ეფექტური ორგანიზება.

**სწავლის მეთოდები**

პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, გარკვეულ ქმედებაზე (მაგ, მიცემულ დავალებაზე) ორიენტირებული სწავლება, სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებები და სხვ.).

პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება

დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის შემადგენელი უმეტესი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი ინგლისურ ენაზე იკითხება და ინგლისურენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სწავლის შედეგები**

**ა) ცოდნა და გაცნობიერება**

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი

1. ამჟღავნებს ინგლისური ენის B2+ (Independent User) შესატყვისი მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ცოდნას; ფლობს ენის ცოდნის ოთხივე უნარს (ლაპარაკი, წერა, კითხვა და მოსმენა); ამყარებს კომუნიკაციას დონის შესაფერის ფართო სპექტრის პრობლემატიკასა და თემატიკაზე.
2. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ინგლისურ ენასთან, მის ფონეტიკურ, ლექსიკურ და/ან გრამატიკულ სისტემებთან, ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, თეორიებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემატიკას. სწავლის, კვლევისა და საქმიანობის პროცესში აანალიზებს ინფორმაციას/ტექსტს/მასალას, ახდენს მის სინთეზს, თარგმანს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივით/პერსპექტივიდან;
3. ინგლისური ენის სტრუქტურის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიის, თარგმანმცოდნეობის და სტილისტიკის აქტუალური საკითხებისა და თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების ზოგადი და ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავს ენის სისტემის არსს და ხედავს კავშირს ენის თანამედროვე და დიაქრონული განვითარების ტენდენციებს შორის; ადგენს გრამატიკული სტრუქტურების, ლექსიკური და სტილისტური მოვლენების მსგავსებასა და განსხვავებებს ინგლისურსა და მშობლიურ ენებში. ადარებს და აპირისპირებს სამიზნე ენასთან, მის ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს დარგის ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით;
4. აღწერს და აცნობიერებს ენათმეცნიერების, ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ საკითხებსა და მეთოდებს, ახორციელებს მათ ანალიზს კონკრეტულ მიდგომაზე დაყრდნობით და წარადგენს აუდიტორიის წინაშე.
5. მიმოიხილავს, მსჯელობს, აანალიზებს და წარადგენს ქართულ და ინგლისურ ენებზე მსოფლიო და ინგლისური ლიტერატურის ძირითად ეტაპებს, მოვლენებს, ტენდენციებს, მნიშვნელოვან ავტორებს და ნაშრომებს; მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს.

**ბ) უნარები**

1. იყენებს ინგლისურ ენას როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის; მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე.
2. მითითებების საფუძველზე, დამოუკიდებლად აწარმოებს განათლების ამ საფეხურით გათვალისწინებულ მცირე მასშტაბის, ელემენტარულ, პრაქტიკულ ან თეორიულ კვლევაზე/ თარგმანზე დაფუძნებულ დავალებას; ადარებს ინგლისური ენის თეორიის საკვანძო, ფუნდამენტურ საკითხებს მშობლიურ ენის შესაბამის მასალას;
3. ინგლისურ ენაზე ამზადებს და პრეზენტაციის სახით წარადგენს არჩეული ენის პრაქტიკულ პრობლემასთან (პრესა, ბიზნესი,

ტექსტის ინტერპრეტაცია...), ენის თეორიასთან თუ ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემის არსს და, რელევანტურ მაგალითებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, მსჯელობს, აკავშირებს და აანალიზებს პრობლემას ენის სისტემასთან დაკავშირებულ გარკვეულ თეორიასთან/ლიტერატურის პერიოდთან და ენის ისტორიის პერიოდთან მიმართებით; ასევე, კომენტარს აკეთებს თარგმანის მახასიათებლების შესახებ; ადარებს ენობრივ მასალას და გამოავლენს მსგავს და განსხვავებულ ნიშნებსა და მახასიათებლებს. კრიტიკულად აჯამებს, აფასებს წარმოდგენილ არგუმენტებს და წარმოადგენს დასკვნას მათ შესახებ; ადეკვატურად იყენებს სპეციფიკურ თეორიულ აკადემიურ კურსთან და მასალასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ და მეთოდოლოგიურ აპარატს;

4. გამოყოფს ინფორმაციის კონცეპტუალურ პრიორიტეტებს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტს, სამიზნე აუდიტორიასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას;
5. მოიძიებს და მიზნობრივად იყენებს ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე/ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის რელევანტურ წყაროებს, მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

6. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვისა შრომის ორგანიზების უნარს;
7. მოქმედებს აკადემიური ეთიკისა და პროფესიული ქცევის ნორმათა ფარგლებში; ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს;
8. პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, ერკვევა ღირებულებით ორიენტაციებში და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს კულტურათა დიალოგისა და ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრების პროცესს; ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას.

**დასაქმების სფეროები**

აღნიშნული დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი სათარჯიმნო-მთარგმნელობითი, საინფორმაციო, სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, საელჩოებში და დიპლომატიურ მისიებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.

| პროგრამის სახელწოდება | გერმანული ფილოლოგია<br>German Philology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of German Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, გერმანული ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე, პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე |
| | ტელ.: +995 599102757 (ლალი ქეცბა-ხუნდაძე), +995 599554291 (ნინო ქიმერიძე) |
| | ელფოსტა: lali.ketsba.khundadze@tsu.ge, nino.kimeridze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 70 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |
| საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გერმანული ფილოლოგია მიზანია დარგობრივი კომპეტენციის მქონე, უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, ფართო დარგობრივი და ზოგადი (ჰუმანიტარული/ფილოლოგიური) უნარებით აღჭურვილი | |

სპეციალისტების მომზადება საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, სტუდენტს:

1. შესძენს საკომუნიკაციო ენის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის $B^{2.2}$ დონეს;
2. ჩამოუყალიბებს გერმანულენოვანი ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპებისა და ისტორიულ-კულტურული თავისებურებების ფართო თეორიულ ცოდნას როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში;
3. ჩამოუყალიბებს ენობრივი სტრუქტურის ფართო სისტემურ, თეორიულ ცოდნას და ენობრივ დონეებს შორის ურთიერთმიმართების ერთიან ხედვას როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში;
4. გამოუმუშავებს ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით ტექსტზე დაფუძნებული ანალიზისა და ინტერპრეტაციის საბაზისო ტექნიკებს, რომელთაც იყენებს ტექსტის წარმოქმნისა და გაგების პროცესში;
5. გამოუმუშავებს თარგმანის თანამედროვე თეორიების საფუძველზე გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან თარგმნის საბაზისო ტექნიკებს კულტურათა დიალოგის კონტექსტში;
6. გამოუმუშავებს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ენის სისტემაზე ორიენტირებულ თეორიულსა და ტექსტის კვლევებზე დამყარებული პრაქტიკული ხასიათის პროექტებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავების უნარს;
7. გამოუმუშავებს ჰუმანიტარული მეცნიერებების თანამედროვე გამოწვევების შესახებ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით საკუთარი დასკვნების პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.

**სწავლის მეთოდები**

- ლექცია;
- სემინარი/სამუშაო ჯგუფი;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- პრაქტიკუმი /პრაქტიკული მეცადინეობა;
- ტუტორიალი;
- ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია;
- სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით;
- წყვილში ან გუნდური მუშაობა;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- გონებრივი იერიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- ჯგუფური დისკუსია წინასწარ მომზადებულ თემაზე;
- ურთიერთშეფასება;
- ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა სასწავლო მასალის ან მათი ამონარიდების კომენტირება მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით;
- განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი

ბიბლიოგრაფიების (მათ შორის ონლაინ-ბაზების) გამოყენებით;
- ბეჭდურ, ციფრულან/დასხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა /კრიტიკული წაკითხვა (გააზრება);
- დისკუსია და დებატები;
- შემოქმედებითი წერა;
- ჯგუფური და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ხელმძღვანელის მეთვალყურეობით;
- ორენოვანი და სხვა სახის ლექსიკონებით სწავლება;
- აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება;
- ენის/ენების სწავლება მცირერიცხოვან ჯგუფებში;
- კურიკულუმსმიღმა აქტივობები;
- მოწვეული მომხსენებელი;
- შებრუნებული გაკვეთილი;
- აქტიური სწავლა;
- შერეული სწავლა;
- ელექტონული სწავლება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გერმანული ფილოლოგია კურსდამთავრებულს აქვს ფართო ფილოლოგიური ცოდნა გერმანული ენის, ენობრივი სისტემის, ლიტერატურის, თარგმანის პრაქტიკასა და თეორიაში ძირითადი გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურასთან მიმართებაში.
კურსდამთავრებული:

***ა) ცოდნა და გაცნობიერება***

1.1. ასახელებს, აღწერს და განმარტავს გერმანული ენათმეცნიერების, ლიტერატურისა- და თარგმანმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და მეთოდებს;
1.2. მიმოიხილავს და განმარტავს თანამედროვე გერმანული ენის სისტემურ თავისებურებებს, გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვან ეტაპებსა და საკვანძო საკითხებს თანამედროვე ჰუმანიტარული სააზროვნო კატეგორიების, ფილოლოგიური ტენდენციების და პრობლემატიკის კონტექსტში;

1.3. განსაზღვრავს და აღწერს ენობრივ, ისტორიულ-კულტურულ მსგავსებასა და განსხვავებას ქართული და გერმანული რეალობის ფარგლებში ვერბალური, არავერბალური და კულტურის სხვადასხვა არტეფაქტების საფუძველზე.

*ბ) უნარები*

2.1. ქმნის და განმარტავს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს გერმანულსა და ქართულ ენებზე, მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს ლოგიკურად და არგუმენტირებულად, იყენებს შესაბამის დარგობრივ ტერმინებს;

2.2. აანალიზებს და მიმოიხილავს გერმანულენოვანი ლიტერატურის საკვანძო პერიოდებსა და განსხვავებული ჟანრის ლიტერატურულ ტექსტებს;

2.3. აანალიზებს, აჯგუფებს და შეისწავლის ლინგვისტურ რაკურსში სხვადასხვა ტექსტის სახეობებს, ადგენს მათ ტიპობრივ მახასიათებლებსა და განსხვავებებს;

2.4. თარგმნის გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით, ავლენს განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში;

2.5. გეგმავს და ახორციელებს საკვალიფიკაციო ნაშრომს ლინგვისტიკაში/ლიტერატურათ- ან თარგმანმცოდნეობაში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: აგროვებს მონაცემებს, მოიძიებს და იყენებს ქართულ, გერმანულ და სხვა უცხოურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურას; კრიტიკულად აფასებს შეგროვებულ მონაცემებს და მოძიებულ სამეცნიერო წყაროებს, ცალკეულ მეცნიერულ ჰიპოთეზასა და თეორიას, არგუმენტების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ პოზიციას;

2.6. ეფექტურად იყენებს დარგობრივი ინფორმაციის გადაცემის პროცესში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა (აკადემიურ და არააკადემიურ) საკომუნიკაციო სივრცეში, შესაბამის სამიზნე ჯგუფში და ჯგუფისთვის;

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

3.1. დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური და პროფესიული განვითარების თაობაზე, შესაბამისად, ამჟღავნებს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;

3.2. სწავლის პროცესში იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, ტოლერანტულია კულტურათა განსხვავების მიმართ, პატივს სცემს ოპონენტის მოსაზრებას და ეთიკის ნორმების ფარგლებში აფიქსირებს საკუთარ პოზიციას საკითხის საჯარო განხილვისას.

**დასაქმების სფეროები**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს:

– ნებისმიერ სამთავრობო, არასამთავრობო ან საჯარო დაწესებულებებში იმ პოზიციაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ შორის გერმანული ფილოლოგიის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები;

– *მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის* (60 კრედიტიანი) გავლის შემდგომ გერმანული ენის მასწავლებლის

პოზიციაზე საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- საგანმანათლებლო  დაწესებულებებში;
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;
- გერმანულენოვან გიდად (გამყოლად) ტურისტულ ბიუროში;
- კორექტორად გამომცემლობებში;
- რეფერენტად სხვადასხვა სახის მასმედიაში;
- მთარგმნელად სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში, სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიებსა და ორგანიზაციებში.

| პროგრამის სახელწოდება | სკანდინავიური ფილოლოგია<br>Scandinavian Philology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სკანდინავიური ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Scandinavian Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N2, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3; |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სკანდინავისტიკის ცენტრი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. კახაბერ ლორია |
| | ტელ.: +995 577575455 |
| | ელფოსტა: kakhaber.loria@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 80 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 10 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია,

1. შეასწავლოს სტუდენტს ნორვეგიული როგორც პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ენა (საშუალოზე მაღალ დონეზე, B2+) და შვედური როგორც პროგრამით გათვალისწინებული მეორე ენა (საშუალო დონეზე, B1).

2. მისცეს სტუდენტს სკანდინავიური ლიტერატურის ისტორიის (ნორვეგიული და შვედური ლიტერატურის განვითარების მაგალითზე), აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი პრინციპებისა და ბაზისური თეორიების ცოდნა,
3. მისცეს სტუდენტს ცოდნა სკანდინავიის ქვეყნების კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ,
4. მისცეს სტუდენტს ცოდნა ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპებისა და ბაზისური თეორიების, ინდოევროპულ ენათა ოჯახში გერმანიკული ენების ადგილის, სკანდინავიური და სხვა გერმანიკული ენების წარმოშობისა და განვითარების შესახებ; შეასწავლოს მას სკანდინავიური ლინგვისტიკის დარგობრივი ტერმინოლოგია, გააცნოს სკანდინავიური ლინგვისტიკის ზოგადი ასპექტები და საკვანძო პრობლემები, შეასწავლოს სკანდინავიური ლინგვისტიკის ცალკეული საკითხები ხსენებულ ენათა შედარებით პერსპექტივაში.
5. გამოუმუშაოს სტუდენტს პროგრამის განმავლობაში შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევები;
6. ფილოლოგიის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე მოამზადოს კადრი სკანდინავიურ ფილოლოგიაში, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას.

პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ფილოლოგიაში, კერძოდ კი, სკანდინავიურ ფილოლოგიაში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ფილოლოგიური და სკანდინავისტური სასწავლო თუ კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე იზრდება ინტერესი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი და მრავალმხრივი პოტენციალი. სასწავლო პროგრამები სკანდინავიური ფილოლოგიის (ისევე როგორც, საზოგადოდ, სკანდინავისტიკის) სფეროში არსებობს მსოფლიოს მრავალ და ევროპის თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სკანდინავიის მცირერიცხოვანი, გეოგრაფიულად განაპირა ევროპული ერების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენს, გეოგრაფიულად ასევე განაპირა, ევროპულ და მცირერიცხოვან ქვეყანაში თანამედროვე ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი შეიძენს შესაბამის ფილოლოგიურ და ზოგადჰუმანიტარულ კომპეტენციათა ერთობლიობას. მას გამოუმუშავდება თეორიული თუ პრაქტიკული ფილოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევები. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ. სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ფილოლოგიის, არამედ სხვა ჰუმანიტარულ და, აგრეთვე, მიმართულებათშორისი დარგების პროფილით სწავლის გაგრძელების კარგი

| |
|---|
| პერსპექტივა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. |
| **სწავლის მეთოდები** |
| სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს:<br>• ვერბალური მეთოდი,<br>• წიგნზე მუშაობის მეთოდი,<br>• ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი,<br>• ჯგუფური მუშაობა,<br>• ევრისტიკული მეთოდი,<br>• როლური და სიტუაციური თამაშები,<br>• დისკუსია/დებატები,<br>• ახსნა-განმარტებითი მეთოდი,<br>• ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,<br>• წერითი დავალებები და სხვ.<br><br>პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. |
| **შეფასების პროცედურები** |
| სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.<br>შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.<br>სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: |

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:
- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

სკანდინავიური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

**ა) ცოდნა და გაცნობიერება**

1. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს სკანდინავიური ფილოლოგიის საკვანძო საკითხებს; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს.

2. განსაზღვრავს, მიმოიხილავს და აანალიზებს სკანდინავიური (ნორვეგიული და შვედური) ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, ცალკეულ მწერლებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას, ნაწარმოებების იდეურ და ესთეტიკურ მახასიათებლებს, სკანდინავიური ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში, მსგავსება-განსხვავებებს ნორვეგიულ და შვედურ ენობრივ კულტურებსა და ლიტერატურის ისტორიებს შორის.
3. აღწერს და მიმოიხილავს სკანდინავიური ლინგვისტიკის ზოგად ასპექტებსა და საკვანძო პრობლემებს; ავლენს სასპეციალიზაციო ენების (ნორვეგიულის და შვედურის) ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ფრაზეოლოგიის, ლექსიკისა და სემანტიკის სისტემურ ცოდნას. აღწერს და მიმოიხილავს სკანდინავიური ენების წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკანდინავიური ენების ისტორიული განვითარების მიზეზებს, ამ ენების მიმართებას ერთმანეთთან და სხვა გერმანიკულ ენებთან. განსაზღვრავს სკანდინავიური და სხვა გერმანიკული ენების ადგილს მსოფლიო ენათა სისტემაში.

**ბ) უნარები**

4. იყენებს სასპეციალიზაციო ენებს (ნორვეგიული და შვედური) უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2+ დონის (ძირითადი სკანდინავიური ენისთვის) და B1 დონის (მეორე სკანდინავიური ენისთვის) შესაბამისად როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციისა და თარგმანის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის, შეუძლია როგორც თეორიულ, ისე პრქტიკულ საკითხებზე მსჯელობა, კომუნიკაციის წარმართვა და მასში მონაწილეობა.
5. თარგმნის ქართულად სასპეციალიზაციო ენებიდან (ნორვეგიული და შვედური) მხატვრულ და ზოგადი ხასიათის ტექსტებს.
6. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს სკანდინავიური ენების ან ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
7. სკანდინავიური ენების ან ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ, ნორვეგიულ, შვედურ და ერთ-ერთ სხვა ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს.
8. კრიტიკულად აანალიზებს სკანდინავიური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას.
9. სკანდინავიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა-გადაცემის პროცესში ზეპირი და წერილობითი ურთიერთობისას სათანადოდ იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
10. მონაწილეობს სკანდინავიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ განხილვა-დისკუსიებში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად, შესაბამისი დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

11. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, ავლენს სკანდინავიური და

| |
|---|
| ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობას;<br>12. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; ამჟღავნებს პიროვნების თავისუფლების პატივისცემას, ტოლერანტობას და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას. |
| **დასაქმების სფეროები** |
| მხატვრულ-კრიტიკული და მხატვრულ-მთარგმნელობითი საქმიანობა; სათარჯიმნო საქმიანობა ბიზნეს-ფირმებში; სხვადასხვა სახის საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში და არასამთავრობო სექტორში; საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა; პედაგოგიური საქმიანობა (შესაბამისი ერთწლიანი პედაგოგიური პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); საქმიანობა გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებში. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მასმედიის სფეროში, მუზეუმებსა და ტურისტულ ფირმებში; სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის. |

| პროგრამის სახელწოდება | ფრანგული ფილოლოგია<br>French Philolgy |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ფრანგული ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of French Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომანული ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. ბელა ხაბეიშვილი |
| | ტელ.: +995 599199397 |
| | ელფოსტა: bela.khabeishvili@tsu.ge |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 75 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 15 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |

აკადემიური სწავლების 70-წლიან ტრადიციაზე დაფუძნებული ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ფრანგული ენისა და ლიტერატურის შესწავლის გზით ინტერკულტურული და საერთაშორისო კომუნიკაციის პროცესების ხელშეწყობას. პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული და დასავლური კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.

მაღალპროფესიული ფილოლოგიური კომპეტენციების გამომუშავების პარალელურად, პროგრამა პრიორიტეტად განსაზღვრავს საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას, აკადემიური თავისუფლების დაცვას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. იგი მიზნად ისახავს სტუდენტის შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირებას, სტუდენტის ცოდნისა და კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევის აქტივაციას, რათა პროგრამის კურსდამთავრებულმა შეძლოს როგორც ფრანგულ ენასა და ლიტერატურასთან, ასევე ზოგადად ევროპულ კულტურასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერება, გაანალიზება, შეფასება, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა, თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამოყენება როგორც შემდგომში სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე პრაქტიკული დარგობრივი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

უფრო კონკრეტულად, ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

1. აღჭურვოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი კომპლექსური ცოდნით, რომელიც მოიცავს კომპეტენციებს ფრანგული ენის, ფრანგული ენათმეცნიერების თეორიის, ფრანგული და ფრანკოფონული ლიტერატურის ისტორიის, კულტურის, ცივილიზაციის, თარგმანის ძირითადი მიმართულებებით.
2. პროგრამაში ინტეგრირებული ფრანგული ენის, ლიტერატურის, კულტურის, ცივილიზაციის, თარგმანის საფუძვლების ეფექტიანი სასწავლო კურსების საფუძველზე ჩამოაყალიბოს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც სიღრმისეულად, ფილოლოგიური კომპეტენციის დონეზე ფლობს სასპეციალიზაციო სფეროს და გააჩნია დარგობრივი და ინტერდისციპლინური კომპეტენციების ფარგლებში ინფორმაციის კვლევის, დამუშავების, ანალიზის, ზეპირი და წერილობითი ფორმით გადმოცემის აკადემიური უნარები.
3. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ჩართული პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების საფუძველზე უზრუნველყოს ფრანგული ენის დაუფლება ოთხივე ენობრივი კომპეტენციის (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ფარგლებში B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით; უზრუნველყოს შესაძლებლობა, დაეუფლოს მეორე ევროპულ უცხოურ ენას.
4. სტუდენტს შეასწავლოს ფრანგული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები, ლიტერატურული ჟანრები, ავტორები, პერიოდები და ამით ხელი შეუწყოს არა მარტო მრავალსაუკუნოვანი ფრანგული კულტურის გაცნობას, სტუდენტის ინტელექტუალური უნარებისა და თვალსაწიერის გაფართოებას, არამედ ფრანგული ენის დაუფლებას.
5. ფრანგული ენის, ლიტერატურისა და კულტურის საფუძვლიანი შესწავლით მოახდინოს სტუდენტის ცოდნის სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის აქტივაცია;
6. გააცნოს პრაქტიკული ლინგვისტური თარგმანის თეორიული და პრაქტიკული ბაზა, ფრანგული ენიდან ქართულად თარგმნის საფუძვლები, დარგობრივი ენის საბაზისო ელემენტები.
7. ფრანგული ენისა და ლიტერატურის სფეროში კომპლექსური ცოდნის საფუძველზე ხელი შეუწყოს მთარგმნელობითი უნარების განვითარებას.
8. აკადემიური დარგობრივი კომპეტენციების შეძენის გზით უზრუნველყოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის

მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბება, რომელთა რეალური დეფიციტი გლობალური დასაქმების ბაზარზე დღეს ნამდვილად არსებობს. ხელი შეუწყოს ქართულ საგანმანათლებლო სფეროში ევროპული სტანდარტების შესაბამისი აკადემიური ფრანკოფონული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას.

ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღეებიდანვე ზოგადად ფილოლოგიური დისციპლინების, კერძოდ კი დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის სწავლებას, კვლევას და ზოგადფილოლოგიური კომპეტენციების დაუფლებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა.

## სწავლის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ეფუძნება ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო კერებში აპრობირებულ კომპლექსური სწავლების უახლეს მეთოდებს.

სწავლის შედეგების მისაღწევად, საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში – იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა- განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და

დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საბაკალავრო პროგრამა ფრანგული ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი ფრანგულ ენაზე და ფრანგულენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას უზრუნველყოფს:

- სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების მოცულობის შესაბამისობა სტუდენტის რეალურ დატვირთვასთან; სემესტრულად გამოცხადებული საპროგრამო სასწავლო კურსების კვირეული სააუდიტორიო-საკონტაქტო საათების ჯამის მაქსიმალურად მიახლოება სტუდენტის დატვირთვის კვირეულ ბადესთან.
- სავალდებულო და არჩევითი საგნების ზომიერი თანაფარდობა, რაც, ერთიმხრივ, განაპირობებს პროგრამის ძირითადი მიზნების განხორციელებასა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტს უტოვებს არჩევანის შესაძლებლობას;
- სწავლების მეთოდთა მრავალფეროვნება;
- სასპეციალიზაციო სალექციო კურსების დიდი ნაწილის, სემინარებისა და პრაქტიკუმების წარმართვა სტუდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფებში, რაც სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის მეტ საშუალებას იძლევა;
- ძირითადი სასწავლო კურსების უზრუნველყოფა უახლესი ფრანგულენოვანი და ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით და სხვ.
- სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების და სასწავლო პროცესში მისი სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის, სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური დონის შესაბამისად, მუშავდება და გამოიყენება ინდივიდუალური პროგრამა.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

**ა) ცოდნა და გაცნობიერება**

1. აღწერს და მიმოიხილავს ზოგადად ფილოლოგიისა და, კერძოდ, ფრანგული ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს, ენისა და ლიტერატურის თეორიებთან დაკავშირებულ მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს, იყენებს სათანადო ტერმინოლოგიასა და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს.
2. დაუფლებულია და ავლენს სასპეციალიზაციო ენის (ფრანგული ენა) კომპეტენციებს B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით და რომელიმე მეორე ევროპული უცხოური ენის კომპეტენციებს; აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის იყენებს რომელიმე კლასიკური ან აღმოსავლური ენის საფუძვლებს (საკუთარი არჩევანის მიხედვით);

3. აღწერს და მიმოიხილავს ფრანგულენოვანი ლიტერატურის განვითარების ეტაპებს, ტენდენციებს, ჟანრებს, შუა საუკუნეების, რენესანსის, კლასიციზმის, რომანტიზმის, რეალიზმის და თანამედროვე ფრანგ ავტორთა ბიოგრაფიასა და მათ შემოქმედებას.
4. განსაზღვრავს თარგმანმცოდნეობასთან დაკავშრებულ საკითხებს. აღწერს პრაქტიკული ლინგვისტური თარგმანის თეორიულ და პრაქტიკული ბაზას, ფრანგული ენიდან ქართულად თარგმნის საფუძვლებს, იყენებს დარგობრივი ენის საბაზისო ელემენტებს.
5. მიმოიხილავს ფრანგული ენისა და ლიტერატურის, საფრანგეთის ისტორიულ-კულტურული და საზოგადოებრივი განვითარების თემბთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს.

**ბ) უნარები**

1. იყენებს ფრანგულ ენას ზეპირ და წერით კომუნიკაციაში პროგრამის მიერ დასახული დონის (B2) ფარგლებში უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით. თავისუფლად წარმართავს საუბარს, კითხულობს სხვადასხვა ტიპის თემატურ ტექტებს; ისმენს, იგებს, თარგმნის და აანალიზებს სოციოპოლიტიკური, ეკონომიკური, საერთაშორიო კონტექსტის ამსახველ ფრანგულენოვან ორიგინალურ დოკუმენტებს, პრესის, მედია საშუალებების მასალებს; ახდენს აუდიო-ვიდეო და ტექსტუალური მასალის ინტერპრეტაციას და რეპროდუცირებას. ეფექტურად იყენებს ფრანგულ ენას პროფესიულ საქმიანობასა და შემდგომი სწავლის პროცესში.
2. წარმართავს დისკუსიას როგორც ენის, ასევე ლიტერატურის სხვადასხვა საკითხზე ენის მატარებელთან; სპონტანურად და შეუფერხებლად საუბრობს სხვადასხვა თემაზე, განმარტავს საკუთარ დამოკიდებულებას გარკვეული აქტუალური საკითხისადმი და მიუთითებს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობებსა და ნაკლოვან მხარეებს; მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში აღწერს და განაზოგადებს დარგობრივი (სოციალური, ეკონომიკური, საერთაშორისო, იურიდიული, ტურიზმის) სფეროს ლექსიკას და ლექსიკის პრაქტიკულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საბაზისო თეორიულ საკითხებს.
3. ავლენს სათანადო წერით უნარებს. თარგმნის ლინგვისტურ და ლიტერატურულ ტექსტებს; ამზადებს აკადემიური და კვლევითი პროექტის დეტალურ წერილობით ანგარიშს, აწარმოებს სხვადასხვა ტიპის საქმიან და წერილობით კორესპონდენციას, ახდენს დარგობრივი მასალის რეზიუმირებასა და რეფირებას. თარგმნის საშუალო სირთულის მოთხრობებსა და ესეებს. ადარებს ლიტერატუტული თარგმანის ვერსიებს და ანალიზის საფუძველზე წერილობით წარმოადგენს არგუმენტირებულ დასკვნებს.
4. საბაზისო დონეზე აფასებს ლინგვისტურ, ისტორიულ და სოციო- კულტურულ პროცესებს; განაზოგადებს და აანალიზებს ენასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს, სოციო-კულტურულ თემებს. ახდენს პროგრამაში ინტეგრირებული ლინგვო-კულტურული საკითხების სინთეზს; მინოიხილავს ფაქტებსა და მოვლენებს სოციო-ისტორიულ კონტექსტში, ადგენს მათ კავშირს ენის ფუნქცუონირების სხვადასხვა სფეროებთან. აანალიზებს ლინგვისტურ კონტენტს ლექსიკო-გრამატიკული, ფონეტიკური, სტილისტური მახასითებლების გათვალისწინებით. განსაზღვრავს, განასხვავებს და აფასებს სხვადასხვა კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, ქვეყნებს შორის ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს;

5. საბაზისო დონეზე აფასებს ლიტერატურულ პროცესებს; განაზოგადებს და აანალიზებს ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს, სოციო-კულტურულ თემებს. აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტებს როგორც ისტორიული, ასევე სტილისტური, პოეტური თვალსაზრისით; აანალიზებს და მიმოიხილავს ლიტერატურული მასალის კავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან (კინო, თეატრი). განაზოგადებს, აანალიზებს და მიმოიხილავს ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებს სოციო-ისტორიულ კონტექსტში. განიხილავს, აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ თემებს, ჟანრების ისტორიის, შუა საუკუნეების, რენესანსის, კლასიციზმის, რომანტიზმის, რეალიზმის და თანამედროვე ევროპელ ავტორთა ტექსტებს.
6. აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში; თანამედროვე მეთოდების საფუძველზე ახდენს მონაცემთა ინტერპრეტაციას და სათანადო საკომუნიკაციო მიზნობრიობით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მასალის პრეზენტაციას.
7. ასრულებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

**გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

1. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; განსჯის საკუთარ ქმედებებს; საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე განსაზღვრავს საკუთარ მიზნებსა და იდეალებს, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს პიროვნულ ეთიკას.
2. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; დამოუკიდებლად, მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების საფუძველზე გეგმავს სასწავლო პროცესს, იყენებს ფართო სპექტრის საბიბლიოთეკო წიგნიერი ფონდისა თუ ონლაინ, მულტიმედია რესურსებს. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამჟღავნებს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების მზაობას.
3. ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში ადეკვატურად ოპერირების უნარს. ადეკვატურად აღიქვამს, იგებს და პატივს სცემს კულტურული მრავალფეროვნებას, კულტურათაშორის განსხვავებებს. ახასიათებს ტოლერანტობა, ავლენს დემოკრატიული ფასეულობების განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის მიმართ პატივისცემას.

**დასაქმების სფეროები**

ბაკალავრიატში სწავლება ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს დასაქმებაში. სწავლის მიზნები განისაზღვრება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული, ფრანგული ფილოლოგიის ბაკალავრი მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი ფრანგული ფილოლოგიის დარგში სათარჯიმნო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისთვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა

სისტემებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ფირმებში, მთარგმნელობით ბიუროებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში, სხვადასხვა კომპანიაში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.

| პროგრამის სახელწოდება | იტალიანისტიკა<br>Italian Studies |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | იტალიანისტიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Italian Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომანული ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. მაია ჯავახიძე |
| | ტელ.: +995 599104315 |
| | ელფოსტა: maia.javakhidze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კურსის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 80 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 30 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |

**პროგრამის მიზანი**

იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსითა და სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება იმგვარი დარგობრივი კომპეტენციები და უნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შრომით ბაზარზე დასაქმებას; პროგრამა მიზნად ისახავს მიცემული ცოდნის საფუძველზე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელების შესაძლებლობით როგორც შესაბამის, ისე მომიჯნავე სპეციალობებზე;

უფრო კონკრეტულად, პროგრამის მიზანია

1. კომპლექსურად შეასწავლოს სტუდენტს პრაქტიკული იტალიური ენა B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით;
2. კომპლექსურად, ერთ მთლიან ლინგვო-კულტურულ კონტექსტში შეასწავლოს იტალიის ისტორია, ლიტერატურა, სოციალურ-კულტურული თავისებურებები;
3. მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც შეუძლია იტალიის ისტორიულ, ლიტერატურულ-ენობრივ, სოციალურ-კულტურულ პროცესებთან და თავისებურებებთან, ასევე იტალიური ენის მორფო-სინტაქსურ და სტილისტურ საკითხებთან დაკავშირებული როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წყაროების დამუშავება, ანალიზი და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
4. მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელიც მიღებული ცოდნის საფუძველზე ახორციელებს მთარგმნელობით და სათარჯიმნო საქმიანობას; ახდენს იურიდიული და ეკონომიკური ხასიათის ტექსტის თარგმნას იტალიურიდან ქართულ ენაზე და პირიქით ზეპირად და წერილობით, შესაბამისი წერილობითი ხასიათის ტექსტის შექმნას;
5. აღზარდოს ახალგაზრდა, რომელიც დაიცავს სათანადო აკადემიურ და ეთიკურ ნორმებს: აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას; რომელსაც ექნება კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი, განსხვავებული კონფესიებისა და აზრის პატივისცემა; გამოუმუშავდება დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

**სწავლის მეთოდები**

პრაქტიკული იტალიური ენის სწავლებისას სწავლების მეთოდი კომბინირებულია, იგი აერთიანებს ვერბალურ თუ დემონსტრირების მეთოდს. ვერბალურად და წერილობით ხდება ახალი მასალის ახსნა, ასევე სტუდენტების გამოკითხვა პრაქტიკულ მეცადინეობებზე; გამოიყენება დემონსტრირების მეთოდები აუდიო და ვიდეო მასალების გაცნობის სახით, როლური და სიტუაციური თამაშები, გონებრივი იერში.
თეორიული საგნების სწავლების დროს: ვერბალური მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ტექსტზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

*ა) ცოდნა და გაცნობიერება*

1. იცის იტალიური ენა B2 დონეზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით და იყენებს მას მთელი რიგი წერილობითი (მათ შორის კორესპონდენციის) და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, თავისუფლად წარმართავს საუბარს, კითხულობს, ისმენს, ესმის, თარგმნის, აანალიზებს იტალიურ ენაზე შესრულებულ სტილისტური თვალსაზრისით სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, იურიდიულ-ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტაციას; შეუძლია მათი ინტერპრეტაცია, თარგმნა და, საჭიროების შემთხვევაში, ზეპირი რეპროდუქცია. მსჯელობს არგუმენტირებულად სხვადასხვა თემებზე.

2. განასხვავებს მხატვრული ლიტერატურის, ბიზნეს ენისათვისა და პრესის ენისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ და სტილისტურ თავისებურებებს და ახდენს ამ ცოდნის დემონსტრირებას პრაქტიკულად ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის შექმნის დროს.
3. აღწერს იტალიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიასთან დაკავშირებულ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებს, მიმოიხილავს იტალიური ლიტერატურის მიმდინარეობების მნიშვნელოვან წარმომადგენლებსა და ნიმუშებს (მეთორმეტე საუკუნიდან დღემდე) და განიხილავს მათ ისტორიულ-კულტურული მოვლენების ფონზე.
4. აღწერს და მიმოიხილავს იტალიური ენის სტრუქტურას (მორფოლოგია, სინტაქსი); განსაზღვრავს იტალიური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებსა და სპეციფიკურ ნიშნებს;
5. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს იტალიის გეოგრაფიულ, სოციალურ-კულტურულ თავისებურებებს, ენის ჩამოყალიბების, ლიტერატურულ, ისტორიულ პროცესებს და აკავშირებს მათ ერთმანეთთან.

*ბ) უნარები*

6. კითხულობს, ისმენს, ესმის, თარგმნის, აანალიზებს იტალიურ ენაზე კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებით შინაარსს, აქვს მათი ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი; საუბრობს სპონტანურად და შეუფერხებლად, თავისუფლად გამოხატავს თავის აზრს. წერილობით მკაფიოდ აყალიბებს თავის აზრებსა და შეხედულებებს სხვადასხვა თემებზე; წერს ანგარიშს, საქმიან წერილს, მოთხრობასა და სხვადასხვა ტიპის ესეს, მოჰყავს არგუმენტები სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. საჭიროებისამებრ იყენებს იურიდიულ-ეკონომიკურ ტერმინოლოგიას, ქმნის შესაბამის წერილობით ტექსტებს და თარგმნის მათ (ქართულიდან იტალიურად და იტალიურიდან ქართულად);
7. მოიძიებს იტალიის ისტორიასთან, ლიტერატურასთან, ენასთან, სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებულ მასალებსა და მონაცემებს; ახდენს ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტაციასა და ანალიზს; ამზადებს აკადემიური ან კვლევითი პროექტის დეტალურ წერილობით ან ზეპირ ანგარიშს შეძენილი უნარების გამოყენებით: მასალის ანალიზის, არგუმენტირებული და თანმიმდევრული მსჯელობის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის საფუძველზე.
8. აქტიურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო /სასწავლო/ პროფესიულ ჯგუფში, მონაწილეობს პროფესიულ კონტექსტში სხვადასხვა ტიპის დისკუსიებში ქართულ და იტალიურ ენებზე. ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს.

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

1. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. იცავს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას, დემოკრატიულ ფასეულობებს. პატივს სცემს კულტურათაშორის განსხვავებებს, კულტურულ მრავალფეროვნებას, ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა;
2. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;

| |
|---|
| |
| **დასაქმების სფეროები** |
| ბაკალავრიატში სწავლება ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს დასაქმებაში. სწავლის მიზნები განისაზღვრება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. იტალიანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულიბაკალავრი მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი სათარჯიმნო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:<br>• სამთავრობო და არასამთავრომო სექტორში;<br>• სათარჯიმნო ბიუროებში;<br>• საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში თარჯიმან-რეფერენტად;<br>• კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, არქივებში, მუზეუმებში, ტურისტულ ბიუროებში, ბიბლიოთეკებში და ა.შ.<br>• ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;<br>• რადიოსა და ტელევიზიაში;<br>• ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;<br>• გამომცემლობებში; |

| პროგრამის სახელწოდება | ესპანისტიკა<br>Spanish Studies |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ესპანისტიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Spanish Studies |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. N36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომანული ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. მარინე კობეშავიძე |
| | ტელ.: +995 591222007 |
| | ელფოსტა: marine.kobeshavidze@tsu.ge |
| | **პროგრამის სტრუქტურა** |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 80 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 30 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |
| ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს შრომითი ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე | |

უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ესპანისტიკის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა იძლევა ესპანისტიკის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის საჭირო როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

სწავლება წარიმართება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით, ესენია: ესპანური ენა და ამ ენით მარკირებული საზოგადოება, ისტორია, ლიტერატურა, კულტურა, რაც ნიშნავს, რომ წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს არა მარტო ენის შესწავლას, არამედ მრავალმხრივ ცოდნას როგორც ესპანეთის, ისე ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიის, საზოგადოების, კულტურისა და ლიტერატურის შესახებ. ამრიგად, ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს ესპანურ ენა უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2.2 დონის ჩათვლით და გააცნოს ესპანური ენის ლათინურ ამერიკაში გავრცელებული ვარიანტის ძირითადი მახასიათებლები.
- მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელიც შეძლებს ზეპირ და წერით კომუნიკაციას დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით როგორც ქართულ, ისე ესპანური ენაზე, აითვისებს ლექსიკის ახალ სტრატეგიებს; პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროფესიული (დარგობრივი) ენის ათვისებას; კურიკულუმის სავალდებულო და არჩევითი საგნების უმრავლესობა ორიენტირებულია გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიული ესპანური ენის ტერმინოლოგიური ლექსიკის ცოდნა. ამას ხელს უწყობს როგორც სწავლების მთელ პროცესის მსვლელობისას პრაქტიკულ ენასა და ესპანურენოვან ლიტერატურაზე მუშაობა, ისე სწავლების ბოლო მეშვიდე და მერვე სემესტრებში დაგეგმილი ესპანურენოვანი თეორიული კურსების მოსმენა.
- სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს ესპანური ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები და მათი შემოქმედება, ლიტერატურული მიმდინარეობები, ასევე ლიტერატურული ტექსტების ანალიზი. ამასთან ასწავლოს ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორია, ენა, კულტურა და ესპანეთის სახელმწიფო წყობა და სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების განმასხვავებელი ნიშნები. აღზარდოს ახალგაზრდა, რომელსაც ექნება კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმისა და პატივისცემის უნარი.

**სწავლის მეთოდები**

სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას:

- ლექცია;
- სემინარი/სამუშაო ჯგუფი;

- პრაქტიკუმი/პრაქტიკული მეცადინეობა;
- ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია;
- ელექტრონული სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობითო;
- წყვილი და გუნდური მუშაობა;
- სტუდენტის მიერ მასალის დამოუკიდებლად დამუშავება და აზრების გადმოცემა/ მსჯელობა შესაბამის თემაზე;
- პრაქტიკული მუშაობა
- ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა სასწავლო მასალის ან მათი ამონარიდების კომენტირება მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით;
- განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების (მათ შორის ონლაინ-ბაზების) გამოყენებით;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება (Student Centered Teaching and Learning);

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი

ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი ერუდირებული სპეციალისტია, რომელსაც მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში;

*ა) ცოდნა და გაცნობიერება*

ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:

- ესპანურ ენაში ავლენს უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2.2 დონის შესაბამის ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციებს (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება); აღწერს და მიმოიხილავს ესპანური ენის სტრუქტურას (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი); განსაზღვრავს ესპანური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებსა და საერთო ნიშნებს; ათვისებული ლექსიკური მარაგსა და გრამატიკულ სტრუქტურებს მაქსიმალურად თავისუფლად იყენებს საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას და წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში.
- მაქსიმალურად თავისუფლად იყენებს ათვისებულ ლექსიკურ მარაგს სხვადასხვა თემატიკაზე ესპანურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო, იურიდიული, ბიზნეს და ტურიზმის)

გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში. შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება, კომენტირება და ანოტირება.

- განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს ესპანისტიკის არსს, ნიშნებს, ფუნქციებს, ფუნდამენტურ პრინციპებს, თეორიებს; ფლობს და იყენებს სათანადო დარგობრივ ტერმინოლოგიას;
- განსაზღვრავს, აღწერს და მომოიხილავს ესპანური ენის ისტორიული განვითარების დიაქრონიული ჭრილში: ესპანური ენის წარმოშობისა და ისტორიული ევოლუციის ძირითად ეტაპებს: ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ცვლილებებს; რადიკალური ცვლილებების განმაპირობებელ იმ ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტური ფაქტორებს, რამაც განაპირობა ესპანური ენის თანამედროვე სახით ჩამოყალიბება; აღწერს ესპანური ენის გავრცელების არეალებს და მათ თავისებურებებს. ესპანურ ენას იბერიის ნახევარკუნძულზე და მის ფარგლებს გარეთ; ლათინური ამერიკის ესპანური ენის თავისებურებებს; აფრიკული ელემენტებს ესპანურში; სხვადასხვა რეგიონალიზმებს ამერიკის ესპანურ ენაში.
- აღწერს და მიმოიხილავს ესპანეთის შუა საუკუნეების, ახალ და უახლესი ისტორიასა და კულტურას; ესპანელთა წვლილს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში; ესპანურ ცივილიზაციას; ესპანელი ხალხის ადგილსა და როლს ევროპასა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; იბერიის ნახევარკუნძულის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას; თანამედროვე ესპანეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს.
- აღწერს და მიმოიხილავს ესპანური ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს; ჟანრებს, მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედებას, მათი ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს. ლათინურ ამერიკული ლიტერატურის მთავარ მიმდინარეობებს და სკოლებს. პირველ ესპანურ და სამხრეთამერიკულ ხელნაწერებს. განსხვავებს ესპანური და სამხრეთ ამერიკული ლიტერატურის საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს.
- აღწერს თარგმანის თეორიის ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავს თარგმანის სპეციფიკას. ერკვევა ესპანურიდან ქართულად და ქართულიდან ესპანურად წერილობითი და ზეპირი თარგმანის ნიუანსებში, მზადაა სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის;

*ბ) უნარები*

- ესპანისტიკის დარგობრივ სფეროში ამოიცნობს/იდენტიფიცირებს კომპლექსურ პრობლემებს და იყენებს მათი გადაჭრისთვის დარგის ზოგიერთ გამორჩეულ მეთოდს;
- პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აანალიზებს და აფასებს ლინგვისტურ, ლიტერატურულ და ისტორიულ პროცესებს; არჩევს ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენებს ისტორიულ კონტექსტში.
- ისმენს, კითხულობს, თარგმნის, განმარტავს, ადგენს მაპროფილებელ ესპანურ ენაზე უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2.2 დონის შესაბამის სხვადასხვა ხასიათის ტექსტებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ზეპირი და წერითი თარგმანის ტექნიკის გამოყენებით;
- მოიძიებს და იყენებს ქართულ და ესპანურ ენებზე არსებულ წერილობით, ზეპირ და სხვა სახის წყაროებს, შესაბამის მულტიმედიურ და საბიბლიოთეკო რესურსებს.

- მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ესპანურ ენაზე. კურსდამთავრებული მსჯელობს ესპანურ ენაზე სხვადასხვა ტრადიციაში და ეპოქაში გამოთქმულ შეხედულებებზე და ახდენს სხვადასხვა დროისა და ტრადიციის ტექსტების განმარტებას, ანალიზს და არგუმენტირებას; ადეკვატურად იყენებს დარგობრივი ესპანური ენისთვის დამახასიათებელ ტერმინებს.
- აკეთებს წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკულ შეჯამებას, შეფასებას და დასკვნას;
- გამოყოფს ინფორმაციაში კონცეპტუალურ პრიორიტეტებს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტს;
- ფლობს თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევებს; განვითარებული აქვს ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარი; განვითარებული აქვს ზეპირი და წერითი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარები; სათარგმნ ენასთან ერთად სრულყოფს ქართულ ენას.

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

- ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები.
- ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს.
- იცავს აკადემიური პატიოსნებისა და კოლეგიალობის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.
- აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

**დასაქმების სფეროები**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ესპანეთისმცოდნეობის სპეციალობით მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი ესპანისტიკის დარგში:

- სათარჯიმნო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის;
- საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებში;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ასოციაციები/კავშირები/ საზოგადოებები;
- სამეცნიერო, კვლევითი და სასწავლო ცენტრები;
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები;
- სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

- საბიბლიოთეკო ქსელი (ეროვნული, სამეცნიერო, სასწავლო, მასობრივი (საჯარო),საბავშვო, სასკოლო, ციფრული და სპეციალიზებული ბიბლიოთეკები და სხვა);
- რედაქციები და გამომცემლობები;
- პროფესიული გაერთიანებები;
- დიპლომატიური წარმომადგენლობები;
- სახელმწიფო / კერძო რადიო და სატელევიზიო არხები და მედია ცენტრები;
- საინფორმაციო და ტურისტული სააგენტოები; ტურიზმის სფერო;
- კულტურისა და ხელოვნების ერთეულები/ დაწესებულებები (სახელმწიფო და კერძო)/დამოუკიდებელი თეატრები, მუსიკალური და შემოქმედებითი ცენტრები/ მუზეუმები/ არქივები და სხვ.);

| პროგრამის სახელწოდება | რუსული ფილოლოგია<br>Russian Philology |
| --- | --- |
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Russian Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N8, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. მარინე ალექსიძე |
| | ტელ.: +995 599482032 |
| | ელფოსტა: marine.aleksidze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 70 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |
| რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს ისეთ კომპლექსურ ფუნდამენტურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად | |

ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ფილოლოგის დარგში თანამედროვე სამეცნიერო პარადიგმების ინტერპრეტირება, რუსული ფილოლოგიის დარგში ფართო და ღრმა ცოდნის დემონსტრირება.
2. რუსული ენის თავისუფლად ფლობის დემონსტრირება ენობრივი სისტემის ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული ასპექტების გათვალისწინებით.
3. რუსული ენის კანონზომიერებების გააზრება, სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციებში ზეპირ და წერით მეტყველებაში ენობრივი ერთეულების სწორი, სტილისტურად გამართული გამოყენება.
4. რუსულ ენასთან, მის ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების, თეორიების, პრინციპებისა და უახლესი პრობლემატიკის განსაზღვრა, აღწერა და მიმოხილვა.
5. ლიტერატურის თეორიის, რუსული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერტურული კრიტიკის ისტორიის, სხვადასხვა ლიტერატურული და ფოლკლორული ჟანრების სფეროში ძირითადი კონცეფციების და დებულებების მიმოხილვა, ლიტერატურის თეორიის სფეროში ცოდნის შეფარდება კონკრეტულ ლიტერატურულ მასალასთან.
6. წაკითხული მხატვრული ტექსტის ისტორიულ-ლიტერატურული ინტერპრეტირება, ლიტერატურული მოვლენის ჟანრობრივი სპეციფიკის განსაზღვრა.

**სწავლის მეთოდები**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრონაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის,დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს.ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები.

დისკუსია/დებატების პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას, სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს; ჯგუფური მუშაობის სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; ევრისტიკული მეთოდი სტუდენტს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზას ასწავლის;
როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. დემონსტრირების მეთოდი აუდიო და ვიზუალური გზით გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური.
პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და

სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.
პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.

**შეფასების პროცედურები**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების საბაკალავრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას

სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

***ა) ცოდნა და გაცნობიერება***

1. აღწერს ფილოსოფიის შესავლის ძირითად თემებს; საქართველოს ისტორიის ძირითად ეტაპებსა და ფაქტებს; აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს საბაზისო დონეზე.

ფლობს ერთ-ერთი ევროპულ ენას საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე, არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპულ ენას მინიმუმ A2დონეზე; ერთ–ერთ კლასიკურ ან აღმოსავლურ ენას საბაზისო დონეზე.

განსაზღვრავს ფილოლოგიის როგორც დარგის მიზნებსა და ამოცანებს, რუსული ფილოლოგიის ისტორიას, მის თანამედროვე დონესა და პერსპექტივებს ფილოლოგიური კვლევების ზოგად კონტექსტში. ფლობს რუსული ფილოლოგიის ძირითად ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს, პრინციპებს და კვლევის მეთოდებს; თარგმანთმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და პრინ-ციპებს.

2. ფლობს სპეციალობის მაპროფილებელ რუსულ ენას საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის

B2 დონეზე, რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა) ამ დონის შესაბამისად; იგებს (აუდირება): ლექციას, ვრცელ მოხსენებას, თუკი თემატიკა ცნობილია; რეპორტაჟსა და ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმის შინაარსს, თუკი სცენარი სალიტერატურო ენაზეა დაწერილი; იგებს (კითხვა): თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილ სტატიებსა და მოხსენებებს; თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას; დიდაქტიზირებულ სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურას; (მეტყველება): შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; აქტიურ მონაწილეობას იღებს დისკუსიაში ნაცნობ თემებზე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები; საუბრობს და არგუმენტების საფუძველზე იცავს საკუთარ შეხედულებებს; (წერა): ნათლად და დასაბუთებულად გამოხატავს საკუთარ აზრს შერჩეულ თემაზე; ხსნის და განმარტავს საკუთარ თვალსაზრისს; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

3. საფუძვლიანად და სისტემურად აღიქვამს თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის მორფოლოგიურ სისტემას, თანმიმდევრულად აღწერს ენის მორფოლოგიური დონის ერთეულების სისტემურ და ფუნქციურ თვისებებს.

4. განსაზღვრავს თანამედროვე რუსული ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის კანონზომიერებებს და წარმოაჩენს მისი განვითარების ტენდენციებს; აღწერს თანამედროვე რუსული ენის ლექსიკურ შემადგენლობას და ლექსიკის სხვადასხვა შრეების ფუნქციონირებას, წარმოადგენს მეცნიერების ამ დარგში არსებულ თეორიებს, მიდგომებსა და შეხედულებებს.

5. წარადგენს თანამედროვე რუსული გრამატიკის სისტემას, მის კატეგორიებსა და ფუნდამენტურ თეორიებს, აღწერს თანამედროვე რუსული ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ სისტემებს და მათ ფუნქციონირებას; განსაზღვრავს თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის სიტყვათწარმოებისა და მორფოლოგიის ძირითად წესებსა და ასპექტებს; განიხილავს თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის სინტაქსურ აგებულებას, სინტაქსურ ერთეულებს, სინტაქსურ კავშირებს; ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა სინტაქსურ ერთეულებს; ახასიათებს რუსული ენის სინტაქსური აგებულების საკვანძო მოდელებს.

6. აღწერს რუსული ლიტერატურის ისტორიის განვითარების ძირითად ეტაპებს; აანალიზებს ძირითად ლიტერატურულ პროცესებს; კრიტიკულად აფასებს რუსულენოვან ლიტერატურულ ტექსტებს; გადმოსცემს კლასიკური და თანამედროვე რუსული ლიტერატურის ძირითადი ნიმუშების შინაარსს; მიმოიხილავს რუსული ლიტერატურის ისტორიის ძირითად ცნებებსა და კონცეფციებს; სწორად ირჩევს წყაროებს და ინფორმაციას მათ შესახებ ლიტმცოდნეობის სფეროში; აღწერს და ახასიათებს რუსულილიტერატურის ადგილსა და მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის და კულტურის სისტემაში; აღწერს ლიტერატურის თეორიის საფუძვლებს, ჩამოთვლის ერთ-ერთი ევროპული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპების, ჟანრების, მნიშვნელოვანი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს.

*ბ) უნარები*

7. მსჯელობს ფილოსოფიის შესავლის ძირითად თემებზე; საქართველოს ისტორიის ძირითად ეტაპებსა და ფაქტებზე;
პრაქტიკულად იყენებს კადემიური წერის ძირითად პრინციპებს.
ფლობს ერთ-ერთი ევროპულ ენას საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე, არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპულ

ენას მინიმუმ A2 დონეზე; ერთ–ერთი კლასიკურ ან აღმოსავლურ ენას საბაზისო დონეზე.
პრაქტიკულად ერკვევა ფილოლოგიის როგორც დარგის მიზნებსა და ამოცანებში, რუსული ფილოლოგიის ისტორიასა, მის თანამედროვე დონესა და პერსპექტივებში ფილოლოგიური კვლევების ზოგად კონტექსტში. ხსნის და გადმოსცემს რუსული ფილოლოგიის ძირითად ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს, პრინციპებს და კვლევის მეთოდებს; თარგმანთმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და პრინციპებს.
8. იყენებს რუსულ ენას როგორც წერით, ასევე ზეპირი კომუნიკაციის დროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის;
იყენებს რუსულ ენას როგორც შემდგომი სწავლის პროცესში, ასევე პროფესიულ საქმიანობაში; შეუძლია რუსულ ენაზე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა; ნათლად და სტრუქტურირებულად აყალიბებს საკუთარ აზრს, თავისუფლად გამოხატავს მას, გარკვევით გადმოსცემს არგუმენტებსა და განმარტებებს; პრაქტიკაში იყენებს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომელიც მაქსიმალური მოცულობითა და ეფექტით განახორციელებს დასმულ საკომუნიკაციო ამოცანებს; კითხულობს, ისმენს და ესმის, თარგმნის, აანალიზებს სხვადასხვა ტიპის და სირთულის ტექსტებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
9. შეუძლია რუსული ფილოლოგიის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგის ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით; აგროვებს რუსული ფილოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს, ახდენს მათ ინტერპრეტაციას, კრიტიკულ შეფასებას სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბებით სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით; ახორციელებს ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავებას და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი;
10. იყენებს რუსული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს, ახდენს ლექსიკურ ერთეულთა ქვეჯგუფებად კლასიფიკაცია-სისტემატიზაციას; ფლობს რუსული ენის ლექსიკური მარაგის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს; შემოქმედებითად აფასებს ენობრივი ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკურ სპეციფიკას; სწორად ირჩევს კონკრეტულ სიტუაციაში ოპტიმალურ ლექსიკურ ვარიანტს; აქვს კარგი ცოდნა ხშირად გამოყენებადი რუსული იდიომების, ანდაზებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, შეუძლია მათი ეფექტური და ადეკვატური გამოყენება; შეუძლია ანგარიშის, საქმიანი წერილის, მოთხრობისა და სხვადასხვა ტიპის ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

***გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა***
11. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე; ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;
12.ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ; აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას.

**დასაქმების სფეროები**

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული)

უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს  ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

- საგანმანათლებლო, სასწავლოდასამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (საბაკალავრო განათლების შესაბამის პოზიციებზე);
- დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებშითარჯიმნის პოზიციაზე;
- სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში;
- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- ტურიზმის სფეროში;
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;
- საგამომცემლო დაწესებულებებსა დარედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);

საჯარო და კერძო სექტორშისასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე;

| პროგრამის სახელწოდება | ახალი ბერძნული ფილოლოგია<br>Modern Greek Philology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ახალი ბერძნული ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Modern Greek Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N9, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ნეოგრეცისტიკის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ანა ჩიქოვანი |
| | ტელ.: +995 599540092 |
| | ელფოსტა: ana.chikovani@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 70 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |
| ახალ ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ახალ ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვა როგორც ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან | |

დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით, რომ მათ შეძლონ:

6. თანამედროვე საბერძნეთის - როგორც ანტიკური საბერძნეთის მემკვიდრის და ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის - ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებების გააზრება;
7. თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა ახალი ბერძნული ენიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში;
8. თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკის, კონცეპტუალური და სტილისტური თავისებურებების ანალიზი, ქართული თარგმანებისთვის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება;
9. სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის (მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვ.) ტექსტების რედაქტირება პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით;
10. მასმედიის სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორში, დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საქმიანობა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი არა მხოლოდ ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან, არამედ ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით.

ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლებას, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ახალ ბერძნული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ახალი ბერძნული ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს როგორც თანამედროვე ბერძნული კულტურული ფასეულობების შესწავლასა და ახალი ბერძნული ფილოლოგიის განვითარებას, ისე ორ ქვეყანას შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ–ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას.

**სწავლის მეთოდები**

სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ექსპონატები (მაგალითად, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სხვ.). პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული ძეგლების მონახულებას, რომლებიც ქართულ–

ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება (მაგალითად, ძალისა, ვანი).
გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა. ტარდება ექსკურსიები ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული ფილმების, სპექტაკლების, გამოფენების სანახავად. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“.

ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის წარჩინებული სტუდენტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურის საფეხურზე, სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს და ევროპული კვალიფიკაციების მეშვიდე დონის შესაბამისად, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

*ა) ცოდნა და გაცნობიერება*

1. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, ახალ ბერძნულ ენასთან, მის ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და უახლეს პრობლემატიკას, თანამედროვე ბერძნული კულტურის ძირითად მახასიათებლებს.
2. ამჟღავნებს ახალი ბერძნული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ცოდნას.
3. მიმოიხილავს და აანალიზებს თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს.

*ბ) უნარები*

4. იყენებს ახალ ბერძნულ ენას წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის და თარგმნის ახალი ბერძნული ენიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების

გამოყენებით, ახალ ბერძნული ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით.

5. განსაზღვრავს და განასხვავებს ძველ და თანამედროვე ბერძნულ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს.
6. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს ახალი ბერძნული ენის ან ახალი ბერძნული ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
7. ახალი ბერძნული ენის ან ახალი ბერძნული ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს.
8. კრიტიკულად აფასებს ახალ ბერძნული ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას.
9. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს.
10. მონაწილეობს ახალ ბერძნულ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ და ბერძნულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

11. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.
12. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს.

**დასაქმების სფეროები**

ახალი ბერძნული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული, სათარჯიმნო და მთარგმნელობითი, სარედაქტორო, სარეფერენტო, მეთოდიკური, მხატვრულ–კრიტიკული საქმიანობისათვის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს უცხო ენების კურსებსა და მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.), გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში (მაგალითად, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან საჯარო რეესტრში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების სამინისტროში, სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულ სსიპ-ებსა და ააიპ-ებში), კერძო კომპანიებში, სასულიერო–საგანმანათლებლო ცენტრებში, საქართველოს საპატრიარქოსა და სასულიერო სემინარიაში, ბერძნულ–ქართულ კომპანიებში, საბერძნეთის, კვიპროსისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და სხვ.

| პროგრამის სახელწოდება | კლასიკური ფილოლოგია<br>Classics |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | კლასიკური ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Classics |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N9, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ირინე დარჩია |
| | ტელ.: +995 577553374 |
| | ელფოსტა: irine.darchia@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 70 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |
| **პროგრამის მიზანი** | |
| კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების | |

ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვა როგორც კლასიკურ ფილოლოგიასთან, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით, რომ მათ შეძლონ:

11. ანტიკური სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებების - როგორც ევროპული ცივილიზაციის საწყისების - გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში;
12. ანტიკური ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური) ენებიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში;
13. ანტიკური ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკის, კონცეპტუალური და სტილისტური თავისებურებების ანალიზი, ქართული თარგმანებისთვის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება;
14. სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის (მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვ.) ტექსტების რედაქტირება პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით;
15. მასმედიის სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორში საქმიანობა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი არა მხოლოდ კლასიკურ ფილოლოგიასთან, არამედ ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით.

კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლებას, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს როგორც ანტიკური კულტურული ღირებულებების შესწავლასა და კლასიკური ფილოლოგიის განვითარებას, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის, საქართველოს ევროპული იდენტობის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობისა და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში.

**სწავლის მეთოდები**

სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ექსპონატები (მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სხვ.). პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული

ძეგლების მონახულებას, რომლებიც ანტიკურ სამყაროს და ქართულ–ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება (მაგალითად, ძალისა, ვანი).
გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ–რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა. ტარდება ექსკურსიები ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული ფილმების, სპექტაკლების, გამოფენების სანახავად. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“.

ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ის წარჩინებული სტუდენტები, რომლებსაც დამატებით სპეციალობად არჩეული აქვთ ახალი ბერძნული ფილოლოგია, კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი

ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურის საფეხურზე, სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს და ევროპული კვალიფიკაციების მეშვიდე დონის შესაბამისად, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

*ა) ცოდნა და გაცნობიერება*

13. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, კლასიკურ (ძველ ბერძნულ და ლათინურ) ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, ანტიკურ (ძველ ბერძნულ და რომაულ) ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და უახლეს პრობლემატიკას, ანტიკური სამყაროს რელიგიური, მითოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მახასიათებლებს.
14. ამჟღავნებს ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, ლათინური სენტენციების ცოდნას.
15. მიმოიხილავს და აანალიზებს ანტიკური (ძველი ბერძნული და რომაული) ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს.

*ბ) უნარები*

1. თარგმნის კლასიკური (ძველი ბერძნული და ლათინური) ენებიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, კლასიკური ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით.
2. განსაზღვრავს და განასხვავებს ძველ ბერძნულ და რომაულ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს.
3. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს კლასიკური ენების ან ანტიკური ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
4. კლასიკური ენების ან ანტიკური ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს.
5. კრიტიკულად აფასებს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას.
6. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს.
7. მონაწილეობს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

1. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.
2. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს.

**დასაქმების სფეროები**

კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს უცხო ენების შემსწავლელ და/ან მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.), გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში, კერძო კომპანიაში, სასულიერო–საგანმანათლებლო ცენტრებში, ბერძნულ–ქართულ კომპანიებში, საბერძნეთის, კვიპროსისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და სხვ.

| პროგრამის სახელწოდება | ბიზანტიური ფილოლოგია<br>Byzantine Philology |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა<br>Bachelor of Philology |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | ბიზანტიური ფილოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Byzantine Philology |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | **2250 ლარი** |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N9, ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ბიზანტინისტიკის კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: პროფ. თინათინ დოლიძე, კონსულტანტი ფილოლოგიის დოქტორი მაგდა მჭედლიძე |
| | ტელ.: +995 555578070 |
| | ელფოსტა: tinatin.dolidze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო ფილოლოგიური | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 70 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| | |

| პროგრამის მიზანი |
| --- |
| ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზანტიური ფილოლოგიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და კურსდამთავრებულების აღჭურვა როგორც ბიზანტიურ ფილოლოგიასთან, ისე ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარებით, რომ მათ შეძლონ:<br>1. ბიზანტიური სამყაროს ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული თავისებურებების - როგორც ევროპული ცივილიზაციის საწყისების - გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში;<br>2. ბიზანტიური ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად და, ამგვარად, წვლილის შეტანა საზოგადოების კულტურული განვითარების პროცესში;<br>3. ბიზანტიური ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკის, კონცეპტუალური და სტილისტური თავისებურებების ანალიზი, ქართული თარგმანებისთვის ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომენტარების მომზადება;<br>4. სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის (მხატვრული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და სხვ.) ტექსტების რედაქტირება პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით;<br>5. მასმედიის სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორში, სასულიერო-საგანმანათლებლო პროფილის ორგანიზაციაში საქმიანობა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი არა მხოლოდ ბიზანტიურ ფილოლოგიასთან, არამედ ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ცოდნის, სხვადასხვა (კოგნიტური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური, სისტემური, საკომუნიკაციო, სოციალური და სხვ.) უნარების გამოყენებით.<br><br>ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იძლევა ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლებას, ხოლო პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ ბიზანტიური ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br>ბიზანტიური ფილოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული საქმიანობა ხელს შეუწყობს როგორც ბიზანტიური კულტურული ღირებულებების შესწავლასა და ბიზანტიური ფილოლოგიის განვითარებას, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის, საქართველოს მართლმადიდებლური იდენტობის სიღრმისეულ გააზრებას ბიზანტიური და ქრისტიანული ცივილიზაციის კონტექსტში. |
| **სწავლის მეთოდები** |
| სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.<br>სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს იმ მუზეუმებში, სადაც დაცულია ბიზანტიურ სამყაროსთან დაკავშირებული |

სხვადასხვა ტიპის ექსპონატები (მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და სხვ.). პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს იმ ადგილებისა და ისტორიული ძეგლების მონახულებას, რომლებიც ბიზანტიურ სამყაროს და ქართულ–ბერძნულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს უკავშირდება.
გარდა ამისა, სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა. ტარდება ექსკურსიები ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული ფილმების, სპექტაკლების, გამოფენების სანახავად. მუშაობს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია „ოდეონი“, რომლის სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ ბიზანტიური ფილოლოგიის სტუდენტებიც. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები ქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ „მნემოსინეში“.

ქართველ პედაგოგებთან ერთად ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ის წარჩინებული სტუდენტები, რომლებსაც დამატებით სპეციალობად არჩეული აქვთ ახალი ბერძნული ფილოლოგია, კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან საბერძნეთისა და კვიპროსის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და

ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

## სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურის საფეხურზე, სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს და ევროპული კვალიფიკაციების მეშვიდე დონის შესაბამისად, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

***ა) ცოდნა და გაცნობიერება***

1. განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს და აანალიზებს ძირითად ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და თარგმანთმცოდნეობით თეორიებს, ბიზანტიურ (შუა საუკუნეების) ბერძნულ და შუასაუკუნეების ლათინურ ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან და კონტექსტთან, ბიზანტიურ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და უახლეს პრობლემატიკას, ბიზანტიური სამყაროს საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მახასიათებლებს.
2. ამჟღავნებს ბიზანტიური პერიოდის (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუასაუკუნეების ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, შესაბამისი საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ცოდნას.
3. მიმოიხილავს და აანალიზებს ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან

ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას, ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტურ მახასიათებლებს.

*ბ) უნარები*

16. თარგმნის ბიზანტიური (შუა საუკუნეების) ბერძნული და შუა საუკუნეების ლათინური ენებიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით.
17. განსაზღვრავს და განასხვავებს ანტიკურ და ბიზანტიურ კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს.
18. ახორციელებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენების ან ბიზანტიური ლიტერატურის თემაზე, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
19. შუა საუკუნეების ბერძნული და ლათინური ენების და ბიზანტიური ლიტერატურის თემაზე კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში მოიძიებს და იყენებს ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს.
20. კრიტიკულად აფასებს ბიზანტიური ფილოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და აყალიბებს საკუთარ პოზიციას.
21. სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს.
22. მონაწილეობს ბიზანტიურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, მსჯელობს არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

*გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*

23. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.
24. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს.

**დასაქმების სფეროები**

ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, მეთოდიკური, მხატვრულ–კრიტიკული საქმიანობისათვის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს მთარგმნელობით ცენტრში, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციაში (ასისტენტად, ლაბორანტად და სხვ.), გამომცემლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის ფონდში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სახელმწიფო სექტორში, კერძო კომპანიაში, სასულიერო–საგანმანათლებლო ცენტრებში და სხვ.

| პროგრამის სახელწოდება | სახვითი ხელოვნება<br>Fine Arts |
|---|---|
| **საფეხური** | საბაკალავრო პროგრამა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | ერთიანი ეროვნული გამოცდები |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **კვალიფიკაცია** | სახვითი ხელოვნების ბაკალავრი<br>Bachelor of Fine Arts |
| **სწავლების ხანგრძლივობა** | 8 სემესტრი |
| **ECTS** | 240 ECTS კრედიტი |
| **სწავლების გადასახადი** | 2250 ლარი |
| **პროგრამის განხორციელების ადგილი** | თსუ სასწავლო კორპ. N1, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1; სასწავლო კორპ. N5, ი. ჭავჭავაძის გამზ. 36 |
| **პროგრამის განმახორციელებელი ერთეული** | ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, სახვითი ხელოვნების კათედრა |
| **საკონტაქტო პირი** | პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოც. პროფ. ლევან სილაგაძე |
| | ტელ.: +995 577400727 |
| | ელფოსტა: levan.silagadze@tsu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა** | |
| **კომპონენტის სტატუსი** | ECTS-მოცულობა |
| სავალდებულო საფაკულტეტო | 50 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო დარგობრივი | 90 ECTS კრედიტი |
| არჩევითი დარგობრივი | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი | 10 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა (minor) | 60 ECTS კრედიტი |
| საბაკალავრო ნაშრომი | 10 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის მიზანი** | |

სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრისა და სახელოვნებო აკადემიური სივრცის, სახვითი ხელოვნების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ჰუმანიტარული და სახელოვნებო ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი პრაქტიკოსი-სპეციალისტის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის

სპეციფიკის გათვალისწინებით და მის ფარგლებში, ფლობს ვიზუალური და მატერიალური კულტურის ნამუშევრების შექმნის ხელოვნებას და პრაქტიკულ-შემოქმედებითი ამოცანების შესრულების უნარებს, რომელთა მეშვეობით

1. ახდენს ნახატის შექმნის ხელოვნების მაღალი დონის ტექნიკის, ნებისმიერი სირთულის მოდელიდან ხატვის ტრადიციულ აკადემიურ პრინციპებზე დაფუძნებული კომპონენტების – კომპოზიციური განაწილების, კონსტრუქციული აგებისა და მოცულობითი დამუშავების - ცოდნისა და პრაქტიკული ხერხების დემონსტრირებას; იყენებს განსხვავებული ფორმების, სქემატური სტრუქტურისა და ზედაპირის ხატვის ხერხებს, მთლიანობაში აღიქვამს მოდელს და გადმოსცემს მის კონსტრუქციას, მთავარ მასებს, დეტალებს, რაც მხატვრობის ყველა დარგში ნებისმიერ კონკრეტულ მხატვრულ პროდუქტზე სერიოზული მუშაობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

2. განსაზღვრავს და აღწერს მხატვრობაში კოლორისტიკის ამოცანებსა და განსხვავებული შესაძლებლობების ფართო დიაპაზონს და პრაქტიკულად იყენებს ფერწერისთვის აუცილებელ ტექნიკურ და ჩვევით არსენალს; არჩევს ფერწერის მასალას, მისი გამოყენების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ნიუანსებს, ეტაპების მიხედვით ოპერირების შესაძლებლობებს, ინსტრუმენტების, დამხმარე აღჭურვილობისა და ატრიბუტიკის ოპტიმალურად გამოყენების ხერხებს და მეთოდიკას.

3. წარმოაჩენს მხატვრულ კომპოზიციურ აზროვნებასა და ხედვას; განსაზღვრავს, მხატვრული პროდუქციის ხასიათიდან, თემატიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სურათის კომპოზიციური განაწილების, ასევე მხატვრული პროდუქციის, ობიექტის ან მოქმედების მხატვრული იერ-სახის დადგენისა და განხორციელებისთვის აუცილებელ კომპოზიციურ პრინციპებს და ძირითად ელემენტებს, პრაქტიკულად იყენებს მათ.

4. განიხილავს კონკრეტული ნამუშევრის კომპოზიციურ ვარიანტებს და აკავშირებს ფერწერული და გრაფიკული გამომსახველობითი საშუალებების გამოყენების ხასიათთან და სტილთან; მოიძიებს ვიზუალურ მასალას თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და მისი ანალიზის შედეგებს იყენებს მხატვრობაში ინდივიდუალური ფორმის და ხასიათის პროდუქციის შესაქმნელად.

5. თანამედროვე ხელოვნების პრობლემების აღწერისას სათანადოდ ოპერირებს დარგობრივი ცნებებითა და ტერმინოლოგიით, ერკვევა სახვითი ხელოვნების ძირითადი, ტრადიციული დარგების ნიშან-თვისებებში და მისი განვითარების პროცესის ეტაპებსა და ხასიათში.

6. კარგად იცნობს ჰუმანიტარული აზროვნების სფეროს, მისი განვითარების ისტორიას და ძირითად ამოცანებს, მსჯელობს ლოგიკურად, აზროვნებს ანალიტიკურად და კრიტიკულად, მწყობრად აყალიბებს საკუთარ აზრს სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ.

7. აკადემიური მიზნებისთვის, კვლევითი ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად იყენებს აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, ძირითად ენათმეცნიერულ თეორიებს, ფილოსოფიური კვლევის მეთოდებს, შესწავლილ უცხო ენას აკადემიური და პრაქტიკული მიზნებისთვის.

8. აქვს უნარი და სწრაფვა, მიიღოს მონაწილეობა თანამედროვე სახელოვნებო სივრცეში მაღალმხატვრული, გემოვნებაზე და კომპოზიციურ აზროვნებაზე, დარგობრივ და სტილისტურ ამოცანებზე დაფუძნებული ღირებულებების დამკვიდრებაში.

**სწავლის მეთოდები**

სწავლების ფორმატში გამოყენებულია ვერბალური, წიგნზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებითი, პრეზენტაციის, ჯგუფური, დემონსტრირების (ნამუშევრის შესრულების თითოეულ ეტაპზე პედაგოგი პრაქტიკულად აჩვენებს სტუდენტს შესრულების ტექნიკურ ხერხებს), სტუდიური სწავლების, პრაქტიკული მეთოდები.

**შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
შეფასება ითვალისწინებს შუალედურ განმავითარებელი შეფასებას (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდას (40 ქულა). შუალედური შეფასება ხორციელდება მინიმუმ სამი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განსხვავებულია და მათი აღწერა მოცემულია კონკრეტული კურსის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვებული აქვს მინიმუმ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის (კომბინირებული - წერა/ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, თითოეული კომპონენტის) მაქსიმალური ქულის 50 %-ს.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს **საბაკალავრო ნაშრომს.** შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:

- ✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;
- ✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, საჯარო დაცვამდე საბაკალავრო ნაშრომი შემოწმებული უნდა იყოს Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით.
- ✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;

საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი, რომელიც ტოლია ან აღემატება 51 ქულას.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების საბაკალავრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სახვითი ხელოვნება). სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის აღწერისა და სახვითი ხელოვნების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო-პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

პროგრამის კურსდამთავრებული

7. აღწერს ხატვისათვის და ფერწერისთვის საჭირო განსხვავებული მასალის ტექნოლოგიურ ნიუანსებს, მსჯელობს, მათი ამოცანის ხასიათის მიხედვით, სწორად გამოყენების მეთოდიკაზე.
8. განასხვავებს და აკავშირებს ერთმანეთთან ობიექტის პლასტიკური, გარშემოწერილობითი ფორმის, სამგანზომილებიანი სივრციდან სასურათე სიბრტყეზე მისი სწორად გადმოცემის, პროპორციების, შუქ-ჩრდილის, ტონალური გრადაციების და ამ კომპონენტების მთლიანობაში აღქმის და გადმოცემის პრინციპებს.
9. განმარტავს და ადარებს ერთმანეთს განსხვავებული სირთულის მოდელებზე მუშაობის, ფერწერული ეტიუდების, კოლორისტული ამოცანების და ნიუანსების ხასიათს; მსჯელობს ფერწერაში განათების, ჰაერის, ტონალური და ფერადოვანი გამის და გრადაციების გადმოცემის ასპექტებზე; განასხვავებს მხატვრული ამოცანის მიხედვით ოპერირების ვარიანტებს.

10. განმარტავს კომპოზიციური აზროვნების და მხატვრული ხედვის ამოცანებს განსხვავებული ხასიათისა და შინაარსის კომპოზიციასთან მიმართებაში; მსჯელობს მხატვრული კომპოზიციური აზროვნების არსისა და ამოცანების მნიშვნელობაზე მხატვრობაში. მხატვრული ამოცანიდან გამომდინარე, აანალიზებს განსხვავებული სირთულის დეტალებისგან შემდგარი ანსამბლისთვის სასურათე სიბრტყის მორგების ამოცანებს კონკრეტული სიუჟეტისთვის.
11. აღწერს და განასხვავებს ჰუმანიტარული აზროვნების განვითარების ძირითად ეტაპებს, კონცეპტებს და მეთოდებს, ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების ძირითად ამოცანებს, ეტაპებს, ფაქტებსა და მოვლენებს.

**უნარები:**

1. აკადემიური ხატვის პრაქტიკული ხერხების გამოყენებით განსხვავებული (მარტივი მოდელებიდან ადამიანის ფიგურის ჩათვლით) ხატვისას კონსტრუქციულად სწორად აგებს და ტონალურად ამუშავებს ნახატს. გრაფიკული ხერხებით გადმოსცემს მოდელის პროპორციებს და პლასტიკას, ნაკვთების დამახასიათებელ დეტალებს. კონსტრუქციული აგებისა და შუქ-ჩრდილული დამუშავების ამოცანიდან გამომდინარე – თანმიმდევრულად იყენებს მთავარი ფორმიდან დეტალებზე გადასვლის და შემდეგ ისევ გამთლიანების, მხატვრული ხერხებს.
2. განსხვავებული სირთულის მოდელებთან, ასევე სხვადასხვა ხასიათის კომპოზიციებზე მუშაობისას, პრაქტიკულად იყენებს დაზგური ფერწერისათვის აუცილებელ მრავალეროვან ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, ზეთის ფერწერის, წყლის საღებავების ტექნიკას, სწორად და ოპტიმალურად იყენებს ფერწერის მასალებსა და ტექნოლოგიას. მხატვრული ამოცანიდან გამომდინარე, პრაქტიკულად იყენებს ფერწერული გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვან შესაძლებლობებს – სასურათე სიბრტყის მასალისა და დანიშნულების მიხედვით მათი სწორად შერჩევიდან ტექნიკური და სტილისტური ნიუანსების შეჯერებამდე.
3. პრაქტიკულად იყენებს ესკიზებზე მუშაობის ხერხებსა და ტექნიკას სურათის კომპოზიციური იერსახის გადასაწყვეტად; სურათის შექმნის ეტაპობრივ დინამიკას, თემატიკიდან გამომდინარე, განსხვავებული კომპონენტებით სასურათე სქემის კომპოზიციური განაწილებისათვის.
4. ფერწერული და გრაფიკული გამომსახველობით საშუალებებით ოპერირებისას, იყენებს მხატვრული კომპოზიციური აზროვნების პრინციპებს, ახდენს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებით მოძიებული ვიზუალური მასალის ანალიზს და სხვადასხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი მონაცვლეობის მეშვეობით, ქმნის დაზგური ფერწერისა და გრაფიკის განსხვავებული ჟანრისა და ხასიათის ნიმუშებს და ახდენს მათ პრეზენტაციას.
5. პრაქტიკულად იყენებს ძირითად ენათმეცნიერულ მეთოდებს ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად. იყენებს ერთ–ერთ ევროპულ ენას (არჩევით) და ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენას (არჩევით) აკადემიური და პრაქტიკული მიზნებისთვის.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურიურობა:**

1. განსაზღვრავს და გეგმავს საკუთარი სწავლის შემდგომ საჭიროებებს და შემოქმედებითი აქტივობის თანამიმდევრობას, იაზრებს და აყალიბებს ინდივიდუალურ მხატვრულ ამოცანებსა და ინტერესებს ავტონომიურად; აგროვებს და აანალიზებს მხატვრულ-კომპოზიციურ ამოცანებთან დაკავშირებულ მონაცემებს.
2. შემოქმედებითი მუშაობის დროს ითვალისწინებს პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების შესაბამის, კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებაზე დაფუძნებულ ღირებულებებს. პროფესიულ ეთიკიდან გამომდინარე, როგორც საკუთარ, ასევე სხვის შემოქმედებაში, პატივს სცემს ინდივიდუალურ და საავტორო ხასიათს.

**დასაქმების სფეროები**

სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებულისთვის , დარგობრივი სპეციფიკიდან და მოქმედი სტანდარტიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თავისუფალი და შემოქმედებითი პროფესიის სპეციალისტის თვითდასაქმებას დამოუკიდებელი ხელოვანის რანგში.
ასევე შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

- კულტურის სფეროს დაწესებულებებში;
- ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;
- საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.);
- საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე. საზოგადოებრივ და ბიზნეს სექტორში, ყველგან სადაც ვიზუალური ფაქტორის ესთეტიზაცია და დახვეწა- ჩამოყალიბებაა საჭირო.
- ნებისმიერ სფეროში, სადაც პროდუქციის, ობიექტის და პერფორმანსის მხატვრული გაფორმება არის საჭირო.